In quantum mechanics, there exist such physical quantities the exact measurement of which prevents us from knowing the values of other quantities. Thus, characterization of states by coordination and momentum does not make sense in quantum physics, because they do not have simultaneously accurately measured values. It is obvious that in quantum physics the state should be characterized differently, in particular, by the values that can be simultaneously measured. It is also obvious that, in different problems, physical quantities characterizing the states are different. Say, for the particle state, we want to determine the particle energy [1,2]. To this end, we use the appropriate tool for measurement of this quantity and find sought values with a relevant experiment. If we are not going to measure other quantity in this state, then one quantity can be measured with any desired accuracy. Thus, say we measured accurately some characteristic physical quantity of the particle, for example, the energy. Let us denote it by ω . According to the provision on the representation of physical quantities by operators, we infer that the found ω quantity is the eigenvalue of the corresponding \hat{W} operator, i.e.

$$\hat{W}\psi_{\omega} = \omega\psi_{\omega}$$

As a result of solving this equation, we find the wave function $\psi_w(x)$. This function means that the physical quantity taken in this state has the value. There arises the question whether the function $\psi(x)$ enables us to describe the state of the particle, i.e. to calculate the values of those physical quantities that are essential for characterization of the state of the particle. Description of the states by the function $\psi(x)$, by which the values of a group of physical quantities, i.e. a complete set of physical quantities, are determined, is called the quantum description of the state.

Thus, if the function $\psi(x)$ is known, the state in quantum mechanics is determined, and the complete set of physical quantities can be found. We find the function $\psi(x, t)$ from the Schrödinger equation. When the state varies with time, an additional condition is necessary for solving the Schrödinger equation. It is the value of the wave function at the initial moment. In this case, by the initial value (initial state) and solving the Schrödinger equation, we find the state of the particle at the next moment.

Therefore, in quantum physics, the wave function gives maximum information about the state of the particle (or system). If we know the wave function, we have the maximum data on the state of the particle that quantum mechanics can provide. When, for the system, the wave function is given, we have a pure state, and, when the system has no wave function, we have a mixed state.

REFERENCES

1. V.I. Mamasakhlisovi, I.M. Vashakidze, G.A. Jilashvili. Quantum Mechanics. – Tbilisi, Tbilisi University Press, 1978.
2. L.G. Kadagishvili. Conceptuality of the Fields Existing in Nature. //Georgian Engineering News, 2017, No.2, pp. 97-98.

РЕЗЮМЕ

ИЗЛУЧЕНИЕ ЭНЕРГИИ: КВАНТОВЫЕ ПРОЦЕССЫ

Кадагишвили Л.Г.

Институт кибернетики им. В. Чавчанидзе, Грузинский технический университет
Грузинская инженерная академия

Определяется взаимодействие между двумя энергетическими уровнями с точки зрения квантовых процессов. Это взаимодействие рассматривается как разница между двумя уровнями. При больших квантовых числах разница между двумя соседними энергетическими уровнями постепенно уменьшается и спектр становится непрерывным, т.е. при больших квантовых числах характер спектра становится таким же как в классической физике. В квантовой механике существуют физические величины, точное измерение которых мешает определению значений других физических величин. В разных задачах физические величины, характеризующие состояние, будут совершенно разными. Если волновая функция известна, то состояние определено и можно определить полный набор физических величин. Таким образом, если для системы дана волновая функция, мы имеем чистое состояние, если же у системы отсутствует волновая функция, то состояние смешанное.

Ключевые слова: энергия, излучение, квантовые процессы.

OPTIMIZATION OF TELECOMMUNICATION TRANSPORT NETWORKS USING THE BRANCH AND BOUND METHODS

Lomsadze S.I. and Shamanadze O.K.

Georgian Technical University

Abstract. The active use of the Internet and the dynamic development of the telecommunications impose strict requirements on the telecommunication transport networks, which is due to the increasing multiservice traffic in the network. Therefore, integration of the technologies used by telecommunication operators is one of the most important issues of the optimal planning of the telecommunication transport networks. In this work, a mathematical model of the telecommunication transport network is constructed and the optimization problem is solved by using the branch and bound methods.

Keywords: telecommunication transport networks, optimization, multiservice traffic, branch and bound method.

Introduction. The active use of the Internet and the dynamic development of the telecommunications impose strict requirements on the telecommunication transport networks, because they are more sensitive to the given service due to the increasing multiservice traffic (Triple Play Service) in the network. That is why the optimization of the telecommunication transport networks for maintenance of both new and broadband services is a necessary and, at the same time, urgent task.

The classical theory of optimization of the telecommunication networks is based on the concept of load that implies transmission of a certain amount of information between network nodes. The optimization criterion is some function that depends on the value of transmission delay of a data packet. We are considering an optimization model that differs from the classical one in that:

1. It does not involve the use of the load concept.
2. One of the means of optimization is a high capacity of the telecommunication network and not the value of the transmission delay of a data packet.
3. The planning of the telecommunication network is realized not by one but at least two methods, and not one but a few alternative methods are considered.

The first difference is caused by the fact that the use of the concept of load loses relevance with transfer of telecommunication operators to unlimited tariffs, which implies payment of fixed tariffs by subscribers. The second difference is due to that, over the past decade, the capacity of data transmission channels has increased several times. At the same time, the size of transmitted data packets did not change. The third difference is due to the fact that telecom companies offering the consumers various services specify the correlation of the costs of technical solutions with returns, and it is necessary to consider various alternative versions when choosing the design plan.

Experimental. We are considering the problem of optimization of the telecommunication network which is a transport network of a single operator and is based on the classical flow model [1]. The network is described by the acyclic orientation graph $G = (V, E)$ (Fig. 1) [2]. In the graph, the s and t points indicate the transmission and receipt of information, respectively. The edges emerging from point s represent the channels of the transport network operator, they connect the network deployed in the region, the ISP operator, with the consumer connection network. The receipt point is the element with the edges connecting the operator switch channels with the consumer connection network.




Fig. 1. Acyclic orientation graph $G=(V, E)$

The task of telecommunication transport network optimization can be formulated as follows: to find the optimal values of the minimum cost of the capacity of the network ($Q_1(E^*)$), $\min Q_2(E^*)$) by the orientation graph $G=(V, E)$, the set of edges (here we mean the transmission channels) $E'(E \cap E' = \emptyset)$, the capacity matrices $c(u, v)$ and $c'(u, v)$, and the cost matrix of construction of edges $p(u, v)$.

Results and Discussion. To solve the problem, we used the branch and bound method proposed by A.H. Land and A.G. Doig for solving discrete programming problems [3]. The essence of the method consists in searching through a full set of feasible solutions, partitioning it in smaller subsets, and evaluating these subsets until the best solution was found [4, 5]. The method is flexible and allows obtaining optimal solutions in the desired period of time. The algorithm flowchart is shown in Fig. 2.

To conduct the experiment, we numbered the edges from the E' set from 1 to 4 in the following sequence: (1,7), (2,4), (2,6) and (3,4), where (u, v) indicates the edge from vertex u to vertex v . We built the branch tree shown in Fig. 3 and entered the values of upper and lower estimates of the D_i -subset into the table. The values were obtained by fixing all the edges from the E' set, starting from the root of the tree and ending with the i vertex element. In the fourth column, a set of records obtained for the i element of the tree are given.




Fig. 2. Branch-and-bound algorithm




Fig. 3. Branch tree

From the start the tree consists of a single apex (root) number 0. In the course of the algorithm, edges and vortexes are added to the tree (the vortexes are numbered in a sequence). The edges have number 0 or 1, which shows whether the added edge is from the E' set or not.

Passing along the edges of the graph in this way, we construct the D_i set of solutions, which allows us to find the set of optimal solutions $\{\emptyset, \{4\}, \{1,4\}, \{1,3,4\}$, which the estimates (0, -280), (100, -380), (225, -450), (425, -500), respectively, correspond to.

Table

Element No.	Lower estimate D_i	Upper estimate D_i	Set of records
1	(900,-280)	(0,-430)	\emptyset
2	(300,-280)	(0,-430)	\emptyset
3	(100,-280)	(0,-380)	\emptyset
4	(0,-280)	(0,-280)	\emptyset
5	(100,-380)	(100,-380)	(0,-280)
6	(300,-330)	(200,-430)	(0,-280), (100,-380)
7	(200,-330)	(200,-330)	(0,-280), (100,-380)
8	(300,-430)	(300,-430)	(0,-280), (100,-380), (300,-430)
9	(900,-330)	(600,-430)	(0,-280), (100,-380), (300,-430)
10	(1025,-350)	(125,-500)	(0,-280), (100,-380), (300,-430)
11	(425,-350)	(125,-500)	(0,-280), (100,-380), (300,-430)
12	(225,-350)	(125,-450)	(0,-280), (100,-380), (300,-430)
13	(125,-350)	(125,-350)	(0,-280), (100,-380), (300,-430)
14	(225,-450)	(225,-450)	(0,-280), (100,-380), (300,-430)
15	(425,-400)	(325,-500)	(0,-280), (100,-380), (225,-450)
16	(325,-400)	(325,-400)	(0,-280), (100,-380), (225,-450)
17	(425,-500)	(425,-500)	(0,-280), (100,-380), (225,-450)
18	(1025,-400)	(725,-500)	(0,-280), (100,-380), (225,-450), (425,-500)

Conclusion. In the end, as concluding, we should say that we constructed the mathematical model of construction of a telecommunication network in the form of an acyclic orientation graph, which takes into consideration the methods of construction of modern telecommunication transport networks.

Within the framework of construction of the mathematical model of the telecommunication network, we solved the problem of network optimization applying the branch and bound method to the optimization of the transport transport network and found the set of optimal solutions for construction of the transport network based on a concrete example.

REFERENCES

1. Ху, Т. Целочисленное программирование и потоки в сетях. - М., Мир, 1974, 520 с.
2. Захарченко М.В., Ложковський А.Г. Математичны основи оптимизации телекоммуникаційних систем. – Одесса, ОНАЗ им. О.С. Попова, 2010, 240 с.
3. A.H. Land, A.G. Doig. An Automatic Method of Solving Discrete Programming Problems. //Econometrica, 1960, Vol. 28, No. 3, pp. 497-520.
4. Сигал И.Х., Иванова А.П. Введение в прикладное дискретное программирование. Модели и вычислительные алгоритмы. – М., Физматлит, 2007, 304 с.
5. Корбут А.А., Финкельштейн Ю.Ю. Дискретное программирование. - М., Наука, 1969, 368 с.

РЕЗЮМЕ

ОПТИМИЗАЦИЯ ТЕЛЕКОМУНИКАЦИОННЫХ ТРАНСПОРТНЫХ СЕТЕЙ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ МЕТОДОВ ВЕТВЕЙ И ГРАНИЦ

Ломсадзе С.И., Шаманадзе О.К.

Грузинский технический университет

Активное использование Интернета и динамичное развитие телекоммуникаций предъявляют строгие требования к телекоммуникационным транспортным сетям, что связано с увеличением мультисервисного трафика в сети. Поэтому интеграция технологий, используемых операторами телекоммуникационных сетей, является одним из наиболее важных вопросов оптимального планирования транспортных сетей. В этой работе строится математическая модель транспортной сети телекоммуникации, и задача оптимизации решается с использованием метода ветвей и границ.

Ключевые слова: телекоммуникационные транспортные сети, оптимизация, мультисервисный трафик, метод ветвей и границ.

აჭარის სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების მოკლე მიმოხილვა

ლორია მ.დ.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

აჭარას თავისი მდებარეობით სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მესხეთ-ჯავახეთის რეგიონი, ჩრდილოეთიდან გურიის რეგიონი, ხოლო დასავლეთიდან შავი ზღვა. თავისი უნიკალური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს რეგიონებს შორის აჭარას გამოირჩეული ადგილი უჭირავს. აჭარის ტერიტორიის ფართობია 2,900 კმ², რაც საქართველოს ტერიტორიის 4,2%-ს შეადგენს.

რელიეფის თვალსაზრისით, აჭარა წარმოადგენს მესხეთის ქედის დასავლეთ ნაწილში შემავალი მთებისა და ხეობების საკმაოდ რთულ სისტემას, რომელსაც განედური მიმართულებით შუაზე კვეთს რეგიონის მთავარი მდინარე - აჭარისწყალი. სანაპირო ზონა მოიცავს დაბლობ რაიონებსა და მთის ფერდობებს 100-200 მ სიმაღლემდე. უფრო აღმოსავლეთით 200-1000 მ სიმაღლეთა შუალედში გორაკ-ბორცვიანი რელიეფი იცვლება მთიანი ზონით. მთებს აჭარის ტერიტორიის 80% უჭირავს, მთისწინეთს - 15%, დაბლობებით კი დაკავებულია რეგიონის ტერიტორიის მხოლოდ 5%. რელიეფის ელემენტებიდან გასული საუკუნის მანძილზე ყველაზე შესამჩნევი ცვლილება განიცადა ზღვის სანაპირო ზოლმა, რომელმაც ზღვის დონის 20სმ-ით აწევს, ბათუმის პორტის მშენებლობის, მდ. ჭოროხის მყარი ჩამონადენის შემცირებისა და შტორმული მოვლენების გაძლიერების შედეგად 150 კმ-მდე ტერიტორია დაუთმო ზღვას.

რელიეფის სხვადასხვაობის შესაბამისად მრავალფეროვანია აჭარის ჰავაც. აჭარა მდიდარია ტყეებით, რომლებითაც დაფარულია რეგიონის ტერიტორიის 66%.

აჭარის რეგიონი სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარების მასშტაბებით და ნეგატიური შედეგებით, ქვეყნის ერთ-ერთ ურთულეს მხარეს წარმოადგენს. სტიქიის გააქტიურების განსაკუთრებული ექსტრემუმი აღინიშნება: 1967-68; 1974-75; 1982; 1985; 1987-89, 1991-92, 1995-96, 1998, 2000-02, 2004-05, 2008 წლებში. ამ პერიოდში სტიქიამ შეიწირა 170-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. 10 ათასამდე მოსახლე გადაყვანილი იქნა უსაფრთხო ტერიტორიებზე, ხოლო ეკონომიკურმა ზარალმა მილიონობით დოლარს მიაღწია.

ხანგრძლივი და უხვი ნალექები, მათ შორის დიდთოვლობა, განაპირობებს აქ წყალდიდობა/წყალმოვარდნების, მეწყერულ-ღვარცოფული პროცესების, თოვლის ზვავების და ამ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტორფების მაღალ განმეორადობას. ამას უნდა დაემატოს მიწის ეროზიის პროცესები.

ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აშკარად შეიმჩნევა აღნიშნული პროცესების გააქტიურება, რაც მზარდ მსხვერპლიანობას იწვევს და დიდ ზიანს აყენებს რეგიონის ეკონომიკასა და ბუნებრივ ეკოსისტემებს. ამის მიზეზად სახელდება კლიმატის დათბობა მისი თანამდევი ნეგატიური გამოვლინებებით (ჭარბი ნალექების გაზშირება, ზღვის დონის აწევა), ტექტონიკური აქტივობის ზრდა და ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური დატვირთვის მატება. კლიმატურ ფაქტორებთან ერთად აჭარაში სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების განვითარებას განაპირობებს ზედაპირის გეომორფოლოგიური აგებულება და მისი მცენარეული საფარი, სეისმურ-ტექტონიკური პროცესები და ანთროპოგენური ზეწოლის ხარისხი. ბოლო პერიოდში მოსახლეობის რაოდენობის ბუნებრივმა ზრდამ (რომელმაც განვლილი 100 წლის მანძილზე 800% შეადგინა), ასათვისებელი მიწების უკიდურესად შეზღუდულობამ და მზარდმა ანთროპოგენურმა ზეწოლამ გეოეკოლოგიური გართულებები კრიზისულ ზღვრამდე მიიყვანა. დღეისთვის მთიანი აჭარის ტერიტორიაზე ტექნოგენური დატვირთვის კოეფიციენტი 0,7 - 0,9 საზღვრებშია, მაშინ როდესაც მისი გეოლოგიური გარემოს მგრძობიარობის გათვალისწინებით ეს სიდიდე 0,4 - 0,5-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამჟამად აჭარის მოსახლეობას უდიდეს საშიშროებას უქმნის მეწყერ-ღვარცოფული პროცესები, რომელთა სისშირე და ინტენსივობა ბოლო 20 წლის მანძილზე საგრ-

ძნობლად გაიზარდა. თუ გასული საუკუნის 70-იანი წლებისთვის მეწყრებითა და ღვარცოფების დაზიანებადობისა და საშიშროების მიხედვით აჭარა საშუალო და მნიშვნელოვანი რისკების კატეგორიას (კოეფიციენტით 0,3 – 0,5) მიეკუთვნებოდა, 2000 წლისთვის ეს რეგიონი სტიქიური პროცესების დროსა და სივრცეში ექსტრემალური გააქტიურებისა და მიყენებული ზარალის მიხედვით გადაყვანილი იქნა მაღალი და ძლიერ მაღალი საშიშროების კატეგორიაში (რისკების კოეფიციენტით 0,5-0,9). სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ რეგიონში ღვარცოფის შედეგად განვითარებული ფორმირებული კერების 80%-ზე მეტი უშუალოდაა დაკავშირებული მეწყერული პროცესების პერიოდულ გამოცოცხლებასთან და მათი საშიშროების რისკი დიდად არის დამოკიდებული მეწყერული პროცესების გააქტიურების მასშტაბებზე [7].

უხვი ნალექების გახშირებასა და სეისმური პროცესების გააქტიურებასთან ერთად მეწყერულ-ღვარცოფული პროცესების ციკლურობა მკვეთრად დაირღვა და ამ პროცესების გამოვლენა მიღებულ ფონს ზემოთ თითქმის ყოველ წელს აღინიშნება. აჭარის ტერიტორიაზე ამ პროცესების შემთხვევათა რიცხვის ცვალებადობა 1967-2009 წწ. პერიოდში, სხვა საშიში მოვლენების სტატისტიკასთან ერთად, მოცემულია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1. აჭარაში სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების რაოდენობრივი მახასიათებლები


დაკვირ. წლ.	მეწყერი, ზვაგი	ინტენსივობის ღვარცოფების ტრანსფორმირება	მდ.ნაპირ. გარეცხ. კმ	პერიოდულად საშიშროებ. ზონაში მოხვედ რლ. და დასახლ. პუნქტი	საავტომობ.გ ზები (კმ), კომუნიკაც. სუ (რაოდენობა)
1967-68	700,0	210,0	-	185,0	14/-
1976-80	148,0	105,0	-	58,0	8/-
1982	368,0	175,0			
1983-86	112,0	34,0	39,9	85,0	26; ხიდი-80
1987-88	414,0	312,0	20,4	176,0	16; ხიდი-5
1989-91	405,0	100,0	18,1	60,0	26,5; ხიდი-3
1992-95	75,0	110.	44,1	63,0	19,4; ხიდი-13
1996	112	20	15,2	65	8,3; ხიდი-2
1997-98	101	136	21	117	10,9; ხიდი-7
2004-2005	241	332	19	230	27; ხიდი-16
2006	59	13		95	58; ხიდი-3
2007	45	8	23	45	27
2008	300	125	31	165	
2009	410	220	25	185	37
Σ აჭარაში	3490	1900	256,2	1231	267/135

ცხრ. 1-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ მეწყერთა რაოდენობის ზრდა 63%-ია, ხოლო ღვარცოფთა ტრანსფორმირების შემთხვევათა ზრდას 162%. ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ დღეისთვის აჭარის მოსახლეობის 70%-ზე მეტი სტიქიური კატასტროფების მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფება [1-7].

ბოლო 25 წლის განმავლობაში აჭარის ტერიტორიაზე სტიქიურ-გეოლოგიურ მოვლენებზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით აგებულია რეგიონის გეოლოგიური საშიშროების რუკა (სურ. 1), რომელშიც თავმოყრილია მონაცემები ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული კლიმატური და ტექტონისმოგენური მეწყრების გავრცელების, ზღვის ნაპირების გარეცხვის უბნების, ღვარცოფული ხეხების, მეწყრების, ღვარცოფებისა და მიწის ეროზიის მკაფიო გამოვლენის ადგილების შესახებ, აგრეთვე გამოყოფილია სტიქიური პროცესებით გამოწვეული განსაკუთრებით მაღალი რისკის უბნები.

ამ რუკის ანალიზის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს დასკვნა, რომ აჭარის ტერიტორიაზე მეწყერულ-ღვარცოფული პროცესები უმეტეს წილად გავრცელებულია მესხეთის ქედის დასავლეთ ფერდობებზე (ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები). საკმაოდ მაღალია ამ პროცესების განმეორადობა შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზეც.

შედარებით იშვიათია ეს პროცესები მესხეთის ქედის აჭარის ფარგლებში შემავალ ცენტრალურ ნაწილებში და შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობებზე [7,8].



სურ.1. სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განაწილება აჭარის ტერიტორიაზე

რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 100-150 დღეა, აჭარის ტერიტორიის მაღალმთიანი ზონა უჭირავს (სურ. 2). ზვავსაშიში პერიოდი 50-დან 100 დღემდე უხვთოვლიანი ზამთრის დროს ხასიათდება, ძირითადად, საშუალო მთიანეთის ზონა. რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 50 დღეზე ნაკლებია, აჭარის წინამთები და დაბალმთიანი ზონა უკავია, ხოლო დაბლობი რაიონები, არაზვავსაშიშია.



სურ.2. მეწყერ და ზვავსაშიშიზონები მაღალმთიან აჭარაში

აჭარის მაღალმთიანეთში საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურებას რეგიონის გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურ პირობებთან და სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებასთან ერთად განაპირობებს მრავალწლიანი ნორმიდან გადახრილი ანომალური ატმოსფერული ნალექები. ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე აჭარაში იმატა უხვი (ქედა, ხულო) და ექსტრემალურად უხვი (ბათუმი) ნალექების განმეორებადობამ, რამაც გამოიწვია რეგიონში მეწყერ-ღვარცოფული, ზვავსაშიში და ეროზიული პროცესების გააქტიურება, აგრეთვე წყალმოვარდნებისა და წყალდიდობების გახშირება (სურ.2). რაც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ამ რეგიონში.

70-იანი წლებიდან დღემდე აჭარის სანაპირო ზონაში 5-ბალიან შტორმიან დღეთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, დაფიქსირდა 7-ბალიანი შტორმის შემთხვევაც. ძლიერი შტორმების გახშირება იწვევს ზღვის სანაპირო ზოლში ეროზიული პროცესების გაძლიერებას.

2010 წელს განხორციელდა ადლიის სანაპიროს დროებითი ნაპირგამაგრებითი სამუშაოები. მდ. ჭოროხის შესართავიდან ამოღებულ იქნა და ადლიის სანაპიროზე ჩაიყარა 100 000 მ³ ნატანი. სანაპიროს 3,6 კმ პერიმეტრი დაიყო 3 უბნად. I უბანზე (შესართავიდან 2,3 კმ აეროპორტის მოპირდაპირე მხარე) ჩაიყარა 15 000 მ³ ნატანი; II უბანზე (შესართავიდან 2,3კმ, აეროპორტის მოპირდაპირე მხარე) – 70 000 მ³; III უბანზე – შესართავიდან 3,6 კმ-ზე – 15 000 მ³ . სამუშაოების დასრულების შემდეგ ნაპირმა საშუალოდ 6 მეტრით მოიმატა. 2011 წელს ნაპირგამაგრებითი სამუშაოებისათვის მდ. ჭოროხის დელტიდან ამოღებული იქნა და ადლიის სანაპიროზე ჩაიყარა 100 000 მ³ ინერტული მასალა.

როგორც ცნობილია, სტიქიური მოვლენების გააქტიურებაში მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი: კლიმატური, გეოლოგიური და ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული.

გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას დებულობენ შუა ეოცენის ასაკის ვულკანოგენური ქანები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური ნალექებით, ხოლო მდინარეთა ხეობებში ალუვიური ნალექებით. ვულკანოგენური წარმონაქმნები უმეტეს შემთხვევაში ქიმიურად გამოფიტულია და ხასიათდებიან მკვეთრად დაქვეითებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობას ქმნის სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარებისათვის.

ამ პროცესების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ასევე რელიეფის მორფოლოგია. გრავიტაციული პროცესები (ჩამოქცევა, მეწყერი, ჩამოშლა) უმეტესად ვითარდება ციცაბო რელიეფის პირობებში, რომლის დახრის კუთხე 250-ს აღემატება. ფერდობების მდგრადობისა და მეწყრული პროცესების განვითარების უმთავრესი კრიტერიუმია აღმოჩნდა ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება ჭარბი ატმოსფერული ნალექებით, ქანების გაწყლიანება მოხდა როგორც ზედაპირული წყლებით, ასევე გრუნტის წყლებით, რომელთა დონეები მნიშვნელოვნად შეივსო ჩანაჟონი წყლებით, ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება-გადამძიმებამ გამოიწვია ისედაც სუსტი სტატისტიკური წონასწორობის დარღვევა და გრავიტაციული პროცესების განვითარება.

აღსანიშნავია, რომ დაზიანებული ფართობების უმეტესობა გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს მეწყრული პროცესების აქტივიზაციაში. სადრენაჟო არხები არ არის გაყვანილი სასოფლო გზების გასწვრივაც, რის გამოც წარმოქმნილი დვარცოფული ნაკადები მიედინებიან უსისტემოდ და ხელს უწყობენ გეოლოგიური პროცესების აქტივიზაციას. მდინარეების ხეობებში მნიშვნელოვნად ადიდება გამოიწვია გვერდითი ეროზიის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეროზია (სურ.3) და დატბორვა.



სურ.3. ხულო (გელაძეები), შუახევი (ლაკლაკეთი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით 2009 წლიდან სტიქიის შედეგად დაზიანებულია დაზარალებულ მოქალაქეთა 2514 საცხოვრებელი სახლი და შენობა-ნაგებობა, მათ შორის 705 საცხოვრებელი სახლი ექვემდებარება გეოლოგიურად მდგრად ადგილზე გადატანას, ხოლო დანარჩენი 1809 საცხოვრებელ სახლს ესაჭიროება სხვადასხვა სახის სარემონტო-გასამაგრებელი სამუშაოების ჩატარება, ხოლო მიმდებარე ტერიტორიებზე აუცილებელია მეწყერსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელება.

მონაცემები სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესახებ 2009-12 წწ. მოცემულია ცხრ. 2-ში.

ცხრილი 2. სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლები მუნიციპალიტეტების მიხედვით 2009-2012 წწ.

მუნიციპალიტეტების დასახელება	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი
ქობულეთი	137	291	74
ხელვაჩაური	429	284	78
ქედა	115	97	64
შუახევი	83	179	50
ხულო	148	274	211
სულ	912	1125	477

კლიმატური ცვლილებებისა და სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების მიზეზით: 1989 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მაღალმთიანი აჭარიდან განსახლებული იქნა სულ 9072 ოჯახი (ქვემო ქართლი – 2610 ოჯახი, შიდა ქართლი – 170 ოჯახი, კახეთი -853 ოჯახი, სამცხე-ჯავახეთი – 1379 ოჯახი, სამეგრელო – 339 ოჯახი, იმერეთი – 333 ოჯახი, გურია – 3388 ოჯახი).

აჭარის სტრატეგიით კლიმატის ცვლილების ფონზე ექსტრემალური გეოლოგიური პროცესების გავლენის ზრდის შესამცირებლად განიხილება შემდეგი ქმედებები: მონიტორინგის სისტემის მოწყობა (მოსახლეობისათვის მაღალი რისკის ადგილებში; მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტებისათვის საფრთხის შემქმნელ ადგილებში); პრევენციული ღონისძიებების გატარება მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობითა და მონაწილეობით; თანამედროვე საპროგნოზო სისტემების დანერგვა; პროფილაქტიკური ღონისძიებების პრაქტიკაში გატარება ინფრასტრუქტურული და ტურისტული ობიექტებისათვის; სამოქმედო გეგმის მომზადება.

დაინტერესებული მხარეების, სამიზნე ჯგუფებისა და ფართო საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებისა და მისი ზემოქმედების შესახებ არის ამ მიმართულებით მიმდინარე ყველა პროექტისა და პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. ქვეყანაში თანდათან იქმნება პოტენციური ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე კლიმატის ცვლილების საადაპტაციო და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

ლიტერატურა

1. აჭარის არგარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=1
2. აჭარისა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=3>
3. climateforumeast.org/uploads/other/0/781.pdf
4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
5. mastsavlebeli.ge/?p=1343
6. www.spl.ge/storage/uploads/books/1403280308399b5a.pdf
7. აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგია. www.undp.org/-content/dam/georgia/docs/...-UNDP_GE_EE_Ajara_CC_2013_geo.pdf.2013;
8. ა. რუხაძე, ი. ვაჩირობიძე, მ. ფანდოვა –კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასება, საქართველოს ანგარიში. climateforumeast.org/uploads/other/0/781.pdf. 2014.

SUMMARY

A BRIEF OVERVIEW OF ADJARA'S NATURAL-GEOLOGICAL PHENOMENA

Loria M.D.

Shota Rustaveli State University, Batumi

The article briefly discusses the natural-geological phenomena of Adjara, the causes and consequences of their origin.

Keywords: natural-geological phenomena, soilerosion, landslide, sandgrazingzones, coastalzone, climate cchange, geologicalstructure.

საქართველოს მდინარეების ჰიდროენერგეტიკული რესურსების ხელახალი შეფასების მიზნშეწონილობის შესახებ

ლომიძე ი.ბ., ხელიძე გ.კ., ფიფია ბ.ჯ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველი ადგილი ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს უჭირავს. ჰიდროენერგეტიკა ქვეყანაში ელექტროენერჯის წარმოების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამჟამად ჰიდროელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 3000 მგვტ-ს აღემატება. საქართველოს ელექტროენერჯის ბალანსში ჰიდროენერჯიას დაახლოებით 85% უკავია.

„საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ამოცანაა: „საკუთარი ჰიდრორესურსებით ელექტროენერჯიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება: ეტაპობრივად, ჯერ იმპორტის, შემდეგ კი – თბოგენერაციის ჩანაცვლებით“ [1]. ამ ამოცანის განსახორციელებლად, ქვეყანაში ათეულობით ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა არის დაგეგმილი.


საქართველოს მდინარეების თეორიული ჰიდროენერგეტიკული რესურსები შეფასებული იქნა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, ამიერკავკასიის რეგიონალურ ინსტიტუტში აკადემიკოს გივი სვანიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე [2], მთლიანად შესწავლილი იყო 319 მდინარე. მდინარეთა პოტენციალურმა (თეორიულმა) ჯამურმა სიმძლავრემ 15,63 მლნ კვტ., ხოლო საშუალო წლიურმა გამოშუშავებამ 136,92 მლრდ კვტ.სთ შეადგინა. ამჟამად ოფიციალურ საინჟინრო-ტექნიკურ ანგარიშებში, ეს სიდიდეები მიღებულია, როგორც საქართველოს მდინარეების პოტენციური (თეორიული) ჰიდროენერგეტიკული რესურსი. აღსანიშნავია, რომ მოყვანილი სიდიდეები გამოანგარიშებულია 1980 წლამდე არსებულ მდინარეთა ჰიდროლოგიურ მონაცემებზე (წყლის ხარჯები) დაყრდნობით.

ჰიდროენერგეტიკული რესურსები საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბრადაა განაწილებული. ჩვენი მდინარეები უმეტესად მთის მდინარეებია, რომელთა ერთ ნაწილს მყინვარები კვებავს, მეორეს კი თოვლი, წვიმები და გრუნტის წყლები. მათ რეჟიმზე მკვეთრად მოქმედებს ასევე კლიმატური პირობების თავისებურებები, რითაც ქვეყნის ესა თუ ის კუთხე ხასიათდება. ყოველივე ამის გამო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მდინარეები ერთმანეთისგან განსხვავდება წყლიანობის როგორც ოდენობით, ასევე მისი რეჟიმის მიხედვით.

კლიმატის ცვლილება, რომელიც მიღებული თვალსაზრისის მიხედვით გამოწვეულია გლობალური დათბობის ამჟამად მიმდინარე პროცესით, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს სათბურის გაზების კონცენტრაციის მომატება ატმოსფეროში, გამოვლინდება მრავალი სხვადასხვა ფორმით, როგორცაა ზღვებისა და ოკეანეების დონის აწევა, ჰაერის საშუალო ტემპერატურის მატება, ატმოსფერული ნალექების რეჟიმის შეცვლა, წყლის რესურსების შემცირება, ნიადაგის დეგრადაცია, მყინვარების დნობა, ექსტრემალური მოვლენების ინტენსიფიკაცია, სეზონური ცვლილება (სეზონების „გადაწევა“ ან/და გაქრობა) და სხვა.

საქართველოში კლიმატის ცვლილების ნიშნები მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა. სურათი განსხვავებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებაში [3] მოცემულია კლიმატურ პარამეტრებში ცვლილებების ტენდენციები 1955-1970 და 1990-2005 წლებში. დასავლეთ საქართველოში პირველიდან

მეორე პერიოდამდე საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0,2 °C-ით, ხოლო ნალექების წლიური ჯამი შემცირდა 27 მმ-ით, აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა 0,3 °C -ით, ასევე აღინიშნება ნალექების წლიური ჯამის ზრდა 41 მმ-ით (ნახაზი).



ჰაერის ტემპერატურის და ნალექების ჯამების ცვლილება 1960 წლამდე არსებულ მრავალწლიურ ნორმასა და 1957-2006 წწ. პერიოდის საშუალო მნიშვნელობებს შორის

ცვლილებები კლიმატურ პარამეტრებში მთლიანად საქართველოსთვის ყოველთვის არ ემთხვევა ცალკეულ რეგიონებში ლოკალურად მიღებულ სურათს. მაგალითად, ნალექების წლიური ჯამის გასაშუალოებული მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოში გვიზღვრებს კლების ტენდენციას, მაშინ როცა დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში (მაგალითად ლენტეხში), პირიქით, აღინიშნება ზრდის ტენდენცია. ამასთან ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილების სიჩქარე განსაკუთრებით გაიზარდა 1985-2005 წლების განმავლობაში.

საქართველოში წყლის რესურსების სიუხვეს განაპირობებს ტერიტორიის მთიანი რელიეფი და უხვი ატმოსფერული ნალექები. მდინარეების ჯამური ჩამონადენი წელიწადში 61,5 მლრდ მ³-ია, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირებული ჩამონადენი შეადგენს 52,77 მლრდ მ³-ს. წლიური წყალადება, მათ შორის, ჰესებით ელექტროენერჯის წარმოებისათვის, გაცილებით ნაკლებია და, მაგალითად, 2015 წელს შეადგენდა 30,615 მლრდმ³-ს [4].

მომავალში, ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, სავარაუდოდ, წყლის რესურსების გამოყენების ინტენსივობა გაიზრდება. კერძოდ, ჰიდროელექტროსადგურების ქსელის დაგეგმილი გაფართოება, ტურიზმის მზარდი ინდუსტრია, წყალმომარაგების ქსელებისა და ირიგაციის სისტემების გაუმჯობესება გამოიწვევს წყალზე მოთხოვნის ზრდას.

ჩატარებული კვლევებით [5], საქართველოში წყლის რესურსებზე კლიმატის ცვლილების შემდეგი ზეგავლენაა მოსალოდნელი: მაგალითად, ტემპერატურის ზრდისა და ნალექების შემცირების პირობებში ტრანსსასახლვრო მდინარეების ალახანისა და ხრამი-დებედას აუზებში მოსალოდნელია ჩამონადენის შემცირება შესაბამისად 26-35%-ით და 45-65%-ით.

საქართველოს ძირითადი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მქონე დიდი მდინარეები, როგორც არის ენგური, რიონი, თერგი და სხვა სწორედ მყინვარების დნობის შედეგად წარმოიქმნება. შესაბამისად, მდინარეების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე არსებითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია მყინვარების დნობის პროცესს, რომელიც თავის მხრივ კლიმატის ცვლილებასთან არის კავშირში. ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე მყინვართა რაოდენობა საქართველოში 13%-ით, ხოლო ფართობი 30%-ით შემცირდა. მყინვარების დნობის ძირითადი მიზეზი მყარი ნალექების რაოდენობის შემცირება და საშუალო ტემპერატურის მატებაა [6].

ზემოთ მითითებული იყო, რომ ამჟამად საყოველთაოდ მიღებული საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების პოტენციალის სიდიდე განსაზღვრულია მდინარეების 1980 წლამდე არსებული ჰიდროლოგიური მონაცემების მიხედვით. 1990 წლამდე არსებული 148 ჰიდროლოგიური სადგურიდან ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ 35, შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის შემდეგ, საქართველოში არსებულ მდინარეთა უმეტესობაზე არ არსებობს ჰიდროლოგიური დაკვირვებების მონაცემები, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებითაც, თუ რა გავლენა იქონია კლიმატის ცვლილებამ მდინარეების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დღის წესრიგში დგება ქვეყანაში არსებული მდინარეების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ხელახალი შეფასების საკითხი, რაც უნდა განხორციელდეს არსებული (ფაქტობრივი) ჰიდროლოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; <http://www.energy.gov.ge/> 04/08/2017
2. Г.Г.Сванидзе, В.П.Гагуа, Э.В.Сухишвили. Возобновляемые энергоресурсы Грузии. -Л.; Гидрометеоиздат, 1987.
3. საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება გაეროსკლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი, 2009.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; 04/08/2017.
5. Regional Climate Change Impacts Study for the South Caucasus Region, UNDP/ ENVSEC, 2011, http://www.envsec.org/publications/cc_report.pdf. 04/08/2017.
6. საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი, 2015.

SUMMARY

ON THE ADVISABILITY OF REASSESSMENT OF HYDROPOWER RESOURCES OF GEORGIAN RIVERS

**Lomidze I.B., Khelidze G.K. and Pipia B.J.
Georgian Technical University**

The theoretical potential of hydropower resources of Georgian rivers were last assessed in 1987. Recently, climate change studies showed that the climate change (global heating) causes the decrease in water resources. From 1970 to 2005, the average temperature in Western Georgia increased by 0.2°C, while total annual precipitation decreased by 27 mm. It is noteworthy that in Georgia hydrological observations of most rivers have not been carried out since early 90-ties of the last century, which complicates the accounting and forecast of water resources. Taking into consideration all the above-mentioned factors, it is urgent to reassess the energy potential of main Georgian rivers with account for the available hydrological data.

Keywords: hydropower resources, assessment, climate change, ambient temperature. .

ეკოლოგიური წყლის ხარჯი და მისი ბანმსახვრემლი ძირითადი შატლორები

ლომიძე ი.ბ., ხელიძე გ.კ., ჩოხელი ხ.ო., მარდალეიშვილი მ.რ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს მცირემიწიანობისა და ბუნებრივი რელიეფის ტოპოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით ენერგეტიკულად ათვისებისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილია მდინარეთა სამთო და მთისწინა უბნების გამოყენება, რომელთა ენერგეტიკული ათვისება უპირატესად სადერივაციო ან შერეული სქემით უნდა განხორციელდეს. ამ პირობებში გარდაუვალია ჰესის სადერივაციო უბნის სიგრძის შესაბამის მდინარის მონაკვეთზე ჩამონადენის შემცირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოს დაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკული რესურსების უტილიზაციის პროცესში.

მნიშვნელოვანია იმ კრიტიკული ეკოლოგიური პარამეტრების დადგენა, ცალკეული მდინარეებისა და მისი შენაკადების თავისებურების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ენერგეტიკულ ეფექტს მდინარის მონაკვეთის პოტენციალის ათვისებით. აღნიშნული მიუთითებს ჰიდროელექტროსადგურებიდან წყალგაშვების ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ხარჯების დადგენის აუცილებლობაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ დღეისათვის საქართველოში არ არსებობს გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის განსაზღვრის ოფიციალური ნორმატივი.

ეკოლოგიური წყლის ხარჯის საერთაშორისო, საყოველთაოდ გავრცელებული განმარტება მოყვანილია ბრისბენის დეკლარაციაში: ეკოლოგიური წყლის ხარჯი განსაზღვრავს მდინარის ჩამონადენის რაოდენობრივ, ხარისხობრივ და დროით მაჩვენებლებს, რაც აუცილებელია მტკნარი წყლის ეკოსისტემების ფუნქციონირებისათვის, მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების პირობების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია სხენებული ეკოსისტემების მდგომარეობაზე [1].

არსებობს ეკოლოგიური ჩამონადენის განსაზღვრის 200-მდე მეთოდი, რაც იმით აიხსნება, რომ რიგ ქვეყნებში (უწინარეს ყოვლისა ავსტრალია, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები) აქტიურად გამოიყენება ეკოლოგიური ჩამონადენის პრაქტიკა [2].

ეკოლოგიური ჩამონადენის ექსპრეს მოდელირების რიგი მეთოდები ეფუძნება არსებულ მონაცემებს და არ საჭიროებს დამატებით სამუშაოს. სხვა მეთოდები მოითხოვს სავსე კვლევებს და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების: ჰიდროლოგების, ჰიდრობიოლოგების, ისტიოლოგების, ეკოლოგების და ა.შ. მონაწილეობას. მეთოდის შერჩევა განისაზღვრება სამუშაოს შესრულების ვადებით, ანალიზისათვის ხელმისაწვდომი რესურსებით, სამდინარო სისტემის მნიშვნელობით სამეურნეო საქმიანობისთვის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის, წყლის ობიექტებზე ეკოლოგიური ჩამონადენის განსაზღვრის და შემდგომი დანერგვის სირთულით. ეკოლოგიური ჩამონადენის განსაზღვრის ხერხები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ჰიდროლოგიური დასაბუთების; ფუნქციონალური კავშირების გამოვლენის; ჰიდრაულიკური შეფასების; არსებობის სფეროს მოდელირების; კომპლექსური მეთოდოლოგიის.

ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა საბერძნეთში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, გერმანიაში, დანიაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალია-ში, ჩეხეთში, რუმინეთში, სლოვენიაში, ბულგარეთში, ლატვიაში, რუსეთში, აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში, ჩილეში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში გამოყენებული ეკოლოგიური ხარჯის შეფასების მეთოდები.

საბერძნეთში გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის სიდიდედ მიღებულია საშუალო ზაფხულის წყლის ხარჯის 1/3; დიდ ბრიტანეთში და შვეიცარიაში - საშუალო წელიწადის წლის 347-დღიანი უზრუნველყოფის (განმეორებადობის) წყლის ხარჯი; გერმანიაში - მინიმალური საშუალო თვიური წყლის ხარჯი; დანიაში - წლიური ჩამონადენის მინიმალური წყლის ხარჯი; საფრანგეთში - საშუალო წლიური წყლის ხარჯის 10-25% (მინიმუმ 5 წლიანი პერიოდისათვის) და საშუალო წლიური წყლის

ხარჯის 20%-ს, როცა საშუალო წლიური წყლის ხარჯი მეტია 80 მ³/წმ-ზე; ნორვეგიაში - განისაზღვრება ინდივიდუალურ საფუძველზე, მცირე სიმძლავრის ჰესებისათვის მიღებულია საშუალო წლიური წყლის ხარჯის 10%; ესპანეთში - საშუალო წელიწადის წლის 347-დღიანი უზრუნველყოფის (განმეორებადობის) წყლის ხარჯი, ან აგვისტოს თვის საშუალო ხარჯი, ან საშუალო წლიური წყლის ხარჯის 10%; პორტუგალიაში - საშუალო წლიური წყლის ხარჯის 2,5-5,0%; იტალიაში - საშუალო წლიური წყლის ხარჯის 10%, ან წყალმცირობის პერიოდის 7 დღიანი საშუალო მინიმალური წყლის ხარჯი 10 წლიანი განმეორებადობით, ან საშუალო წელიწადის წლის 347-დღიანი უზრუნველყოფის (განმეორებადობის) წყლის ხარჯი; ავსტრიაში - 1,0 მ³/წმ-ზე მეტი წყლის ხარჯებისათვის საშუალო წლიური წყლის ხარჯის 1/3 და საშუალო წლიური ხარჯის მინიმუმი 1,0 მ³/წმ-ზე ნაკლები წყლის ხარჯებისათვის; ჩეხეთში - საშუალო წელიწადის წლის 330 ან 355 ან 364-დღიანი უზრუნველყოფის (განმეორებადობის) წყლის ხარჯი; რუმინეთში - 95%-იანი უზრუნველყოფის წლიურ მინიმალურ ყოველთვიურ საშუალო ხარჯს და მრავალწლიურ საშუალო წყლის ხარჯის 10%-ს შორის უმცირესი, ან საშუალო დღე-ღამური მოდინების უზრუნველყოფის მრუდის საშუალო დღე-ღამური მოდინების მაჩვენებელი, რომელიც შეესაბამება 95%-იან ალბათობას, ან 3000 კმ²-ზე ნაკლები წყალშემკრები აუზის ფართობის მქონე მდინარეებისათვის, $Q_{გარემოსდაცვითი} = Q_{95\%} + 0,1$ (მ³/წმ) როცა $Q_{95\%} \geq 200$ (ლ/წმ) და $Q_{გარემოსდაცვითი} = 1,25Q_{95\%} + 0,05$ (მ³/წმ), როცა $Q_{95\%} < 200$ (ლ/წმ) [3]; სლოვენიაში - „სწრაფი შეფასების მეთოდი“, რომელიც ეყრდნობა როგორც ძირითადი ჰიდროლოგიური მონაცემების, ასევე ობიექტის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ჰაბიტატის, ეკოლოგიური და მორფოლოგიური ინფორმაციის გამოყენებას; ბულგარეთში - საშუალო წლიური წყლის ხარჯის 10%, ან 95%-იანი უზრუნველყოფის წლის მინიმალური საშუალო თვიური წყლის ხარჯი; ლატვიაში - ზაფხულის 30 დღიანი მინიმალური წყლის ხარჯის 95%; რუსეთში - მინიმალური ერთდღიანი და 30 დღიანი ზაფხულის და ზამთრის წყლის ხარჯები; აშშ-ში - წყალმცირობის პერიოდის 7 დღიანი საშუალო მინიმალური წყლის ხარჯი, განმეორებადობით 10 წელი, ან წყალმცირობის პერიოდის 7 დღიანი საშუალო მინიმალური წყლის ხარჯი, განმეორებადობით 2 წელი; კანადაში - წყალმცირობის პერიოდის 7 დღიანი საშუალო მინიმალური წყლის ხარჯი, განმეორებადობით 10 წელი, ან წყალმცირობის პერიოდის 7 დღიანი საშუალო მინიმალური წყლის ხარჯი, განმეორებადობით 2 წელი, ან აგვისტოს თვის საშუალო თვიური წყლის ხარჯი, ან საშუალო წლიური წყლის ხარჯის 25%; ბრაზილიაში - წყალმცირობის პერიოდის 7 დღიანი საშუალო მინიმალური წყლის ხარჯი, განმეორებადობით 10 წელი, ან 95%-იანი უზრუნველყოფის წლის მინიმალური საშუალო თვიური წყლის ხარჯი, ჩილეში - საშუალო წლიური წყლის ხარჯის 10%, ავსტრალიაში - განისაზღვრება ინდივიდუალურ საფუძველზე, ახალ ზელანდიაში - საშუალო წლიური წყლის ხარჯის 10-30%, ან საშუალო თვიური წყლის ხარჯის 30-70%, ან 5-წლიანი მინიმალური ხარჯი.

ეკოლოგიური ჩამონადენის ცნება შესულია მსოფლიოს რიგი ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში - კერძოდ, ავსტრალიაში, აშშ-ში, ევროკავშირის ქვეყნებში. მაგ., იმისათვის, რომ ევრო-კავშირის ქვეყნებში ყველა მდინარეში მიღწეული იქნეს „წყლის კარგი მდგომარეობა“, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა შეიცავს დაწვრილებით ინსტრუქციებს სამდინარო აუზების მახასიათებლების დადგენისათვის [4].

საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ საპროექტო პრაქტიკაში დამკვიდრდა ეკოლოგიური მიზნებისათვის გატარებული წყლის ხარჯების გაანგარიშება წყალშემზღვევა ნაგებობის გასწორში მდინარის საშუალო მრავალწლიური წყლის ხარჯის 10%-ის ოდენობით [5]. ამასთან, ეს სიდიდე არ არის დაფიქსირებული ნორმატიულ დოკუმენტებში.

მიუხედავად იმისა, თუ რა უზრუნველყოფით არის გამოსახული გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) წყლის ხარჯი, ამ სიდიდის უნიფიცირებულად გამოყენება ყველა მდინარის ყველა კვეთისათვის არ იქნება მართებული. უფრო კორექტულია მისი დადგენა თითოეული მდინარის ცალკეული წყალაღების კვეთის-ათვის, ინდივიდუალურად - ჰესის სადერივაციო უბნის შესაბამისი მდინარის მონაკვეთის სიგრძის,

ბუნებრივ-კლიმატური ზონის, ადგილობრივი ლანდშაფტის პირობების, დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, აგრეთვე წყალშემზღუდავი ნაგებობის ქვედა ბიეფში სხვა წყალმომხმარებელი ობიექტების არსებობის გათვალისწინებით.

გარემოსდაცვითი წყლის ხარჯის დადგენის სტრატეგიაში უნდა აისახოს მდინარეების ტიპები კვების სახეობის მიხედვით და მათი ეკოლოგიური წყალგაშვების სიდიდის განმსაზღვრელი ტექნიკური და ეკოლოგიური შემდეგი ფაქტორები: სასმელ და სარწყავ წყალზე მოთხოვნა გაუწელოვნების არეალში, გაუწელოვნების გავლენა წყალსამეურნეო კომპლექსის სხვა მონაწილეთა მოთხოვნებზე, გაუწელოვანებული უბნის სიგრძე და ამ ზონაში მოსახლეობის სიმჭიდროვე. გაუწელოვნების გავლენა მცენარეულ საფარზე. ცხოველთა სამყაროზე. იხტიოფაუნაზე და წყალმცენარეებზე. წყალსადინარის სანიტარულ-ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვითი წყლის ხარჯების დადგენა, ხელს შეუწყობს გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას, ამასთან შესაძლებლობას მოგვცემს განისაზღვროს ჰიდროენერგეტიკული მიზნებისათვის გამოსაყენებელი წყლის ხარჯის რაოდენობა, რაც არსებითად განაპირობებს პერსპექტიული ჰიდროექტრო-სადგურების ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს და განსაზღვრავს მათი განხორციელების ეკონომიკურ მიზანშეწონილობას.

შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არსებობა დაეხმარება პოტენციურ ინვესტორს მიიღოს მოტივირებული გადაწყვეტილება საკუთარი საფინანსო რესურსების განთავსებისათვის ქვეყნის ჰიდროენერგეტიკულ სექტორში, რაც მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი იქნება.

ლიტერატურა

1. Brisbane Declaration 2007. <http://www.watercentre.org/news/declaration>. 10.07.2017.
2. Оксана Никитина. Экологический сток и его значение для пресноводных экосистем. -Москва, 2015.
3. ndreea-Cristina gaile, Ileana Tanase, Tereza Lazarine, Bogdan Popa. BALWOIS 2012 - Ohrid, Republic of Macedonia - 28 May, 2 June 2012
4. "Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council establishing a framework for the Community action in the field of water policy". http://ec.europa.eu/environment/water/water-framework/index_en.html 10.07.2017.
5. Ю. Ломидзе, Г. Хелидзе. Р. Патарая, Т. Аршба. К вопросу установления санитарно-экологического попуска из ГЭС. //Georgian Engineering News, №2, 2013, сс. 99-101.

ECOLOGICAL WATER CONSUMPTION AND MAIN DETERMINING FACTORS

Lomidze I.B., Khelidze G.K., Chokheli Kh.O. and Mardaleishvili M.R.

Georgian Technical University

Due to the lack of the legislative framework for environment protection, there emerge serious obstacles in the process of solving simultaneously the energy and ecological problems from the point of view of the rational use of water. This fact creates an artificial barrier to the development of hydropower. The analysis of ecological water consumption in 24 countries showed that, to determine the volume of ecological water consumption, it is appropriate to take into consideration the length of an individually dewatered river section for water intake gates, a natural climate zone, local landscape and habitat conditions of ichthyo-fauna, inhabited localities, agricultural grounds, water management facilities, etc. The issue of ecological water consumption should be considered comprehensively for each object taking into account energy-economic feasibility and ecological risk factors.

Keywords: runoff, river, ecological water consumption, environment protection, hydropower station, water management.

ბიოლოგიური ნარჩენები, რომორც მნიშვნელოვანი საკვები რესურსი

ანდლუაძე შ.ნ., ბაზლაძე ი.გ., კოლოვა ს.მ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამხრეთ ურალის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ. ჩელიაბინსკი რუსეთის ფედერაცია

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და ნარჩენების გადამუშავება წარმოადგენს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ერთ-ერთ საფართო შესწავლად დარგს. მეფრინველეობის, მეღორეობის, მეთევზეობის, მეცხოველეობის (მათ შორის ძვირფასბეწვიანის) დარგებში წარმოებული პროდუქციის გადამუშავებისა და მიღების პროცესში წარმოიქმნება დიდი რაოდენობის ნარჩენები. მაგალითად, მეფრინველეობის ფაბრიკებში ეს არის წუნდებული და დახოცილი ფრინველი, ბუმბული, ძვლები, სისხლი, საინკუბაციო ნარჩენები, თაგვები, ფეხები, სუბპროდუქტები, რომლებიც არ ექვემდებარებიან შემდგომ გადამუშავებას. ცხოველური წარმოშობის ბიოლოგიური ნარჩენების ჩამარხვა კანონმდებლობით აკრძალულია. ბიოლოგიური ნარჩენი ერთის მხრივ ქმნის პრობლემებს, რადგან დაავადების გაავრცელების წყაროს წარმოადგენს, მეორეს მხრივ, მისი გადამუშავების შედეგად ის ეკონომიკური სარგებლის მომტანია, გარემოს არ აბინძურებს, ასევე არის ფრინველებისა და ცხოველების კვების რაციონის მაღალხარისხოვანი ინგრედიენტი.

წინა წლებში მეცხოველეობის ნარჩენების გადამუშავება ხდებოდა მოძველებულ, ეკონომიკურად არაეფექტურ, ეკოლოგიურად დაბინძურებულ სამადულრე ქვაბებში (ე.წ. ЖАИСа)-ჩანებში. ნარჩენების საკვებად გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის საფუძველია მაღალ ტემპერატურაზე (120-140°C) 0,3-0,4 მპა წნევისას მიმდინარე ხანგრძლივი (არა ნაკლებ 4-5 საათისა) პროცედურა, რომელიც გულისხმობს ხარშვას, სტერილიზაციას და შრობის სტადიებს. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენებისას ყველა აუცილებელი პარამეტრების დაცვა უზრუნველყოფს სტერილური პროდუქტის მიღებას. თუმცა, სასურველია უკეთესი ხარისხი. კერძოდ, ხანგრძლივი თბური დამუშავების გამო ცილების ნაწილი იშლება, მცირდება მათი შეთვისების უნარი. ამასთანავე, გადამუშავების პროცესს თან ახლავს ლპობის აირების სუნი, რაც ვრცელდება ტერიტორიაზე. ასეთი მოწყობილობების გამოყენება ამჟამადაც ხდება ბევრ საწარმოებში, რომლებიც დამოუკიდებლად გადამუშავებენ საკუთარი წარმოების ნარჩენებს საკვებ დანამატად [1,2].

ექსტრუზიური ტექნოლოგია იძლევა ბიოლოგიური წარმოშობის მეორადი ნედლეულის გადამუშავების საშუალებას ძვირფას საკვებ დანამატად, რასაც, გარდა ეკონომიკური ეფექტიანობისა, გააჩნია ძალზედ მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ასპექტი, რადგან მცირდება გარემოზე ანთროპოგენული დატვირთვა იმ ნარჩენი მასის შემცირების ხარჯზე, რომელიც არ ექვემდებარება რეციკლინგს [3].

ექსტრუზიური ტექნოლოგიის სფეროში დიდი გამოცდილება გააჩნია ЗАО „Экорм“-ს (ქ. ჩელიაბინსკი-რუსეთის ფედერაცია). აღნიშნულ ტექნოლოგიის საფუძველზე ЗАО „Экорм“ უშვებს ხაზებს, რომლებიც იყენებენ ბიონარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიას, რომლის საფუძველიც მშრალი ექსტრუზიური მეთოდია. გახურების ერთადერთი წყარო ხაზუნია. სითბო და წნევა გამომუშავდება ექსტრუზირებული პროდუქტის გაელისას ექსტრუდერის ღეროებში განლაგებულ კომპრესიულ დიაფრაგმაში. პროცესს სჭირდება არა უმეტეს 30 წამისა. ნედლეული დამუშავების რამდენიმე სტადიას გადის: თბური, სტერილიზაცია, გაუვნებელყოფა, მოცულობის გაზრდა, დაქუცმაცება, შერევა, გაუწყლოება, სტაბილიზაცია. საბოლოო პროდუქტი – ცილოვანი საკვები დანამატი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მთლიანი რაციონის სახით, ან როგორც სხვადასხვა რაციონის ძირითადი ინგრედიენტი.

ЗАО „Экорп“-ის ტექნოლოგიით ნარჩენების გადამუშავების პროცესი შეიცავს შემდეგ სტადიებს: ნარჩენების დაქუცმაცება, მისი შერევა მცენარეულ შემავსებლებთან, ექსტრუზია, მზა პროდუქციის გაცივება და ფორმირება. შემავსებლებად შეიძლება გამოყენებული იყოს ხორბალი, მათ შორის მანებლებით დაზიანებულიც, ხორბლის ჩენხო, ნამჯა, მცენარეული ნარჩენები.

ტემპერატურული რეჟიმის, წნევის, ტენის, დროის ფაქტორის უნიკალური შერჩევის მეშვეობით ექსტრუდერში დამუშავების შემდეგ მიღებული პროდუქტი სტერილურია და მიიღება სტაბილიზირებული საკვები. მაღალი ტემპერატურა და წნევა ანეიტრალებს ფერმენტების დამშლელ მოქმედებას, რაც ხელს უწყობს მზა პროდუქციის შენახვის ვადების გახანგრძლივებას (არა ნაკლებ 6 თვისა).

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური პროცესისათვის ელექტროენერჯის გარდა არ არის საჭირო სხვა ენერგომატარებლები (აირი, ორთქლი). 1 კგ პროდუქციის მიღებას სჭირდება 0,2 კილოვატი ელექტროენერჯია. პროცესის შედეგად არ რჩება მეორადი ნარჩენები, გამორიცხულია ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვები, ასევე სამადულრე ჩანებიდან უსიამოვნო სუნის გავრცელება. ცალკე აღსანიშნავია ექსტრუდირებული პროდუქტის ღირსებები. ექსტრუზიური გადამუშავება აძლიერებს ცილების გადამუშავებას. ცილის მოლეკულებში ორმაგი ბმების გაწყვეტის შედეგად (უჯრედების კედლების დაშლა) ხელმისაწვდომია ამინომჟავები, ამასთანავე თვითონ ამინომჟავების სტრუქტურა უცვლელადაა შენარჩუნებული, რადგან თბური დამუშავება მოკლე დროში ხდება. მნიშვნელოვანია, რომ ნეიტრალიზდება ნედლეულის საკვებ ღირებულებაზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორები. მაგალითად, ტრიფსინის, ურეაზა და სხვა ინჰიბიტორების მოქმედება [4].

ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესში ხდება სახამებლის უელატიინირება, რაც ამადლებს მისი შეთვისების ხარისხს. ექსტრუდერიდან პროდუქტის გამოსვლისას ტემპერატურა და წნევა მკვეთრად მცირდება, რის შედეგადაც საბოლოო პროდუქტის მოცულობა იზრდება. ცხიმის უჯრედებში ხდება კედლების დაშლა, რის შედეგადაც გამონთავისუფლებული ცხიმები ზრდის პროდუქტის ენერგეტიკულ ფასს. იზრდება ცხიმის სტაბილურობა, ისეთი ფერმენტები, როგორცაა ლიპაზა იწვევს ცხიმების დამდადებას. ექსტრუზიის პროცესში ისინი იშლებიან, ხოლო ბუნებრივი სტაბილიზატორები ლეციტინი და ტოკოფეროლი მთლიანად ინარჩუნებენ აქტიურობას. ხახუნისა და დანაწევრების პროცესში უჯრედისი ქუცმაცდება, რაც ზრდის მისი გადამუშავებისა და შეთვისების ხარისხს.

ЗАО „Экорп“-ის წარმოებული ხაზებით ხორციელდება საკვები რაციონის სხვადასხვა კომპონენტების გადამუშავება. მაგალითად:

- მარცვლეული, რომელსაც დაკარგული აქვს სამომხმარებლო ხარისხი (მაგალითად ძალზე დასველებული ან სასოფლო-სამეურნეო მანებლებით დასნებოვნებული);

- ბოსტნეული და ხილის ნარჩენები;

- კომბიკორმები, თევზისა და ხორც-ძვლოვანი ფქვილი, რომელსაც დაკარგული აქვს სამომხმარებლო თვისებები.

All the chemicals used were of commercial grade and were further purified by recrystallization and redistilled before use. The solvents used were of spectroscopic grade. The $^1\text{H-NMR}$ spectra were detected by using spectrometer BRUKER WM-300 (300 MHz). Standard pulse sequences were used for the NMR experiments. Chemical shifts (δ) are given in ppm and coupling constants (J) in Hz. The IR spectra were recorded by using the Thermo Nicolet spectrometer with scanning over the range of $4,000\text{-}400\text{ cm}^{-1}$ using KBr pellets. The UV-vis absorption spectra were recorded by using the CF-26 spectrometer (produced in Russia). Elemental analyses were performed using Heraeus CHNO Rapid Analyzer. Melting points were determined by melting point apparatus Electrothermal IA9100. Hydrazine hydrate was prepared from hydrazine sulfate and ammonia as described earlier.

General procedure of preparation of aldehydes 2a and 2b. The solution of sodium hydroxide (3.2 g, 80 mmol) in water (20 mL) was added to a stirred solution of 1a or 1b (35 mmol) in ethanol (150 mL). The reaction mixture was heated up to $80\text{ }^\circ\text{C}$. Then chloroform (9 mL, 0.11 mol) was added dropwise and the reaction mixture was boiled for 1 hour. The excess of ethanol and chloroform was distilled. Hydrochloric acid was added subsequently until pH 5-6. The residue was dissolved in the minimal amount of diethyl ether and an equal amount of saturated solution of $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_5$ was added. The mixture was kept for 24 hours and the precipitated solids were filtered off. The solid was dissolved in water and treated with sulfuric acid (10%). Yellow crystals were obtained by filtration and dried on air.

4,4'-dihydroxybiphenyl-3,3'-dicarbaldehyde (2a). (3.18 g 13.14 mmol, 45%); white crystals, m.p. $260\text{-}262\text{ }^\circ\text{C}$; IR (KBr) $\nu_{\text{max}}/\text{cm}^{-1}$: 3240 (OH), 3069 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 2820 (H - CO), 2765 (H - CO), 1705 (H - CO), 1615 (C = C), 1580 (C = C), 1513 (C = C), 1455 (C = C), 1380 (OH), 1270 (C - O), 1210 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 1150 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 1030 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 930 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 890 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 780 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 710 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$). $^1\text{H NMR}$ (DMSO- d_6 , 300 MHz), δ 6.98 (d, J 7.8 Hz, 2H, H-5), 7.86 (s, 2H, H-2), 7.88 (d, J 7.8 Hz, 2H, H-6), 9.83 (s, 2H, OH), 10.24 (s, 2H, H-CO). Analysis Found C, 69.88; H, 4.10. Calc. for $\text{C}_{14}\text{H}_{10}\text{O}_4$: C, 69.42; H, 4.16%;

5,5'-diamino-4,4'-dihydroxybiphenyl-3,3'-dicarbaldehyde (2b): (4.00 g, 14.7 mmol, 43%); white crystals, m.p. $247\text{-}250\text{ }^\circ\text{C}$; IR (KBr) $\nu_{\text{max}}/\text{cm}^{-1}$: 3376 (NH_2), 3305 (NH_2), 3220 (OH), 3010 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 2810 (H - CO), 2695 (H - CO), 1695 (H - CO), 1630 (C = C), 1590 (C = C), 1470 (C = C), 1430 (C = C), 1340 (OH), 1220 (C - O), 1200 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 1120 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 1010 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 905 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 860 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 750 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 705 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$) cm^{-1} . $^1\text{H NMR}$ (DMSO- d_6 , 300 MHz) δ 5.85 (s, 4H, NH_2), 6.79 (s, 2H, H-6), 7.22 (s, 2H, H-3), 9.56 (s, 2H, OH), 10.02 (s, 2H, H-CO). Analysis Found C, 61.55; H, 4.50; N, 10.40. Calc. for $\text{C}_{14}\text{H}_{12}\text{N}_2\text{O}_4$: C, 61.76; H, 4.44; N, 10.29%.

General procedure of preparation of macrocyclic polyazomethines 3a and 3b. Into the four-necked flask fitted with two dropping funnels, a mechanical stirrer and a reflux condenser, 2-propanol (100 mL) was poured and heated until boiling. The solution of 2a or 2b (1.0 mmol) in 2-propanol (10 mL) and freshly obtained hydrazine hydrate (2.2 mmol, 50%) were added from different dropping funnels simultaneously for 30 min. The reaction mixture was heated for 1 hour, and precipitated pale yellow crystals were isolated.

Polyazomethine 3a. (0.27 g, 0.58 mmol, 58%); yellow crystals, m.p. $280\text{-}282\text{ }^\circ\text{C}$ (isopropanol); UV-vis $\lambda_{\text{max}}/\text{nm}$ (Ethanol), (log ϵ) 297.8 (3.99), 316.72 (3.56), 329.4 (3.48), 340.7 (3.60), IR (KBr) $\nu_{\text{max}}/\text{cm}^{-1}$: 3340 (OH), 3030 ($\text{C}_{\text{Ar}} - \text{H}$), 2854 (H - CO), 1704 (H - CO), 1604 (C = C),

1457 (C = C), 1373 (C = N), 1295 (OH), 1234 (C - O), 1172 (C_{Ar} - H), 817 (C_{Ar} - H), 725 (C_{Ar} - H), 509 (C_{Ar} - H). ¹H NMR (CDCl₃, 300 MHz) δ 6.84 (d, J 8.0 Hz, 4H, C_{Ar} - H), 6.88 (s, 4H, H C = N), 7.32 (d, J 8.0 Hz, 4H, C_{Ar} - H), 7.36 (s, 4H, C_{Ar} - H), 7.96 (s, 4H, OH). Analysis Found C, 70.50; H, 4.28; N, 11.72. Calc. for C₂₈H₂₀N₄O₄: C, 70.58; H, 4.23; N, 11.76%.

Polyazomethine 3b. (0.28 g, 0.53 mmol, 53%); yellow crystals, m.p. 253-255 °C; UV-vis λ_{max}/nm (Ethanol), (logε) 300.5 (3.85), 320.5 (3.65), 335.4 (3.35), 345.6 (3.55); IR (KBr) ν_{max}/cm⁻¹: 3370 (NH₂), 3315 (NH₂), 3305 (OH), 3015 (C_{Ar} - H), 1600 (C - C), 1435 (C - C), 1355 (C = N), 1280 (OH), 1230 (C - O), 1170 (C_{Ar} - H), 815 (C_{Ar} - H), 720 (C_{Ar} - H), 510 (C_{Ar} - H). ¹H NMR (CDCl₃, 300 MHz) δ 5.83 (s, 8H, NH₂), 6.79 (s, 4H, C_{Ar} - H), 6.85 (s, 4H, H - C=N), 7.22 (s, 4H, C_{Ar} - H), 7.92 (s, 4H, OH). Analysis Found C, 62.60; H, 4.50; N, 20.92. Calc. for C₂₈H₂₄N₈O₄: C, 62.68; H, 4.51; N, 20.88%.

Polyazomethine 4. Bromine (22.68 mmol) was added dropwise to the solution of macrocyclic polyazomethine 3a (1.8 g, 3.78 mmol) in ethanol (60 mL) stirred at 30 °C. The temperature was maintained at 30-32 °C for 45 min after complete addition of bromine. The reaction mixture was cooled to room temperature and filtered. The solid was washed with hot water and ethanol (2.39 g, 3.01 mmol, 80%); yellow crystals, m.p. 113-115 °C; IR (KBr) ν_{max}/cm⁻¹: 3350 (OH), 3020 (C_{Ar} - H), 1600 (C_{Ar} = C_{Ar}), 1450 (C_{Ar} = C_{Ar}), 1380 (C=N), 1290 (OH), 1240 (C - O), 580 (Br). Analysis Found C, 42.50; H, 2.10; Br, 40.30; N, 7.00. Calc. for C₂₈H₁₆Br₄N₄O₄: C, 42.46; H, 2.04; Br, 40.35; N, 7.07%.

Polyazomethine 5. To the solution of polyazomethine 3a (0.5 g, 1.05 mmol) in DMF (45 mL) stirred at 20 °C, POCl₃ (6.3 mmol) was added dropwise for 2 hours. The reaction mixture was heated up to 80 °C until complete conversion of 3a (approximately 3 hours). The course of the reaction was monitored by TLC (eluent toluene/ethyl acetate 2:1 (v/v)). The precipitated resinous residue was filtered off, washed with ethanol and purified via the bisulphite derivative. For this purpose, the obtained resinous residue was dissolved in saturated solution of Na₂S₂O₅ and re-precipitated by treatment with diluted (20%) sulfuric acid. (0.43 g, 0.735 mmol, 70%); yellow crystals, m.p. 119-120 °C; IR (KBr) ν_{max}/cm⁻¹: 3330 (OH), 3010 (C_{Ar} - H), 2850 (H - CO), 1710 (H - CO), 1600 (C_{Ar} = C_{Ar}), 1375 (C = N), 1230 (C - O). Analysis Found C, 65.30; H, 3.40; N, 9.55. Calc. for C₃₂H₂₀N₄O₈: C, 65.31; H, 3.43; N, 9.52%.

Acknowledgements

The authors are grateful to Shota Rustaveli National Science Foundation for financial support (grant N. FR 177 6-420 13)

REFERENCES

1. El-Masry A. H., Fahmy H.H., Abdelwahed S.H.A. // *Molecules*, 2000, 5, 1429.
2. Banfi E., Scialino G., Zampieri D., Mamolo M.G., Vio L., Ferrone M., Fermeglia M., Paneni M.S., Prici S. // *J. Antimicrob. Chemother.*, 2006, 58, 1, 76-84.
3. Desai S. B., Desai P. B., Desai K.R. // *Heterocycl. Commun.*, 2001, 7, 1, 83-90.
4. Kauer J.S. // *Nature*, 1988, 331, 166.
5. Elizbarashvili E., Matitaishvili T., Topuria Kh. // *J. Brazil. Chem. Soc.*, 2007, 18, 6, 1254-1258.
6. Lagvilava I., Matitaishvili T., Iardalashvili I., Elizbarashvili E. // *Coll. Czech. Chem. Commun.*, 2009, 74, 3, 409-418.

РЕЗЮМЕ

НОВЫЕ НЕТОКСИЧНЫЕ МАКРОЦИКЛИЧЕСКИЕ АЗОМЕТИНЫ

Челидзе Н.Т., Очхикидзе Н.Т., Матитаишвили Т.Р., Дидебулидзе К.А., Элизбарашвили Э. Н.

Аграрный государственный университет Грузии

Осуществлен синтез 24-членных макроциклических азометинов и их комплексов с металлами на основе дигидроксильных производных бисфенола и азобензола в условиях реакции Реймера–Тимана и циклизации с диаминами. Изучена их антибактериальная активность по отношению к *E. coli*, *S. aureus* и *P. Aeruginosa*. Установлено, что ни макроциклические азометины, ни их комплексы не проявляют антимикробную активность.

Ключевые слова: макроциклические азометины, основания Шиффа, металлические комплексы, антибактериальная активность.

ბიოდეგრადირებადი ამინომჟავური პოლიმუტირაციის საფუძველზე წამლების ბალამტანი მიკროკაფსულების ფორმირების პროცესის სისტემატური კვლევა

სინაურიძე ნ. ო., ქანთარია თემ. ჯ., ქანთარია თენ. ჯ., ბაძგარაძე ს.ა., კუციავა ნ.ა., ტულუში დ.ს., ქაცარავა რ.დ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

წამლის კონტროლირებადი/მდგრადი მიწოდების სისტემებს, სხვადასხვა სახის მატრიქსებისა და გადამტანების (მატარებლების) გამოყენებით, უდიდესი როლი ენიჭებათ თანამედროვე თერაპიაში. კონტროლირებადი/მდგრადი მიწოდების სისტემებს, ტრადიციულ ფორმებთან შედარებით, გააჩნიათ მთელი რიგი უპირატესობებისა, როგორებიცაა: დამიზნული ტრანსპორტი, პროლონგირებული მოქმედება, გაზრდილი ეფექტურობა, ნაკლები ტოქსიკურობა და მდგრადობა, მეტი კომფორტი პაციენტებისათვის. ასეთ სისტემებში მატრიქსებად/მატარებლებად ხშირად გამოიყენებენ მაღალმოლეკულურ ნაერთებს - პოლიმერებს. უპირატესობა ენიჭებათ ბიოდეგრადირებად პოლიმერებს, რომლებიც დაკისრებული ფუნქციის (წამლის ლოკალური მიწოდება ან ტრანსპორტი) შესრულების შემდეგ იშლებიან და უკვალოდ გამოიდევენებიან ორგანიზმიდან, ან ასიმილირდებიან ორგანიზმში მეტაბოლიზმის მეშვეობით. პოლიმერებზე დაფუძნებული წამლის გადამტან სისტემებს შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ ნანო და მიკრონაწილაკებს მათი უნარის გამო განახორციელონ წამლების დამიზნული ტრანსპორტი და გარკვეული (სასურველი) დროის განმავლობაში აკუმულირდნენ ორგანიზმის დაზიანებულ კერაში.


ტერმინით „მიკრონაწილაკები“ ახასიათებენ დისპერსულ ფაზას (ნაწილაკებს), რომლის დიამეტრი 1-1000 მიკრომეტრის ფარგლებშია. მიკრონაწილაკების ფართო მრავალფეროვნებაში გამოარჩევენ „მიკროსფერებს“, ამათგან კი გამოარჩევენ ქვესახეობას „მიკროკაფსულებს“, რომელთაც აქვთ შიგთავსისგან („გულასგან“ - core) განსხვავებული მასალისგან წარმოქმნილი „ქერქი“ (shell). ხშირ შემთხვევებში ქერქს წარმოადგენს პოლიმერული მასალა, ხოლო გულა კი შეიძლება იყოს მყარი, თხიერი ან გაზისებრიც კი [1]. მიკროკაფსულების (მკ) მისაღებად (ქერქად), ზემოთ აღნიშნულ თვისებათა გამო, უპირატესობას ანიჭებენ ბიოდეგრადირებად პოლიმერებს. მრავალი სხვადასხვა კლასის ბიოდეგრადირებად პოლიმერებს შორის, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ე.წ. ამინომჟავურ ბიოდეგრადირებად პოლიმერებს [2-4].

ამგვარად, მკ არის კონტეინერი, რომლის ინტერიერი (გულა) შეიძლება დაიტვირთოს სხვადასხვა ნივთიერებებით (წამლებით, ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთებით, მიკროორგანიზმებით). მკ-ის ზომების შერჩევა ხდება ამოცანაზე დამოკიდებულებით. მაგალითად, თუ მკ უნდა დაიტვირთოს ისეთი პრეპარატების ხსნარებით, რომელთა ზომები არ აღემატება რამდენიმე ათეულ ანგსტრემს, მისაღებად მცირე ზომის (რამდენიმე მიკრომეტრი დიამეტრის მქონე) მკ-ები ამასთან, თუ მკ-ები უნდა მოხვდნენ სისხლის მიმოქცევის სიტემაში, მათი დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს 1-2 მკმ-ს, რათა არ მოხდეს მკ-ის გაჭედვა კაპილარებში. უფრო მსვილი წარმონაქმნებისთვის, რომელთა დიამეტრი აღწევს რამდენიმე ასეულ ნანომეტრს (ნანოსუსპენზიები, ბაქტერიოფაგები და სხვ.) აუცილებელია უფრო დიდი ზომის მკ-ს გამოყენება, რათა მოხდეს ამ შედარებით მსხვილ წარმონაქმნთა სათანადო ჩატვირთვა მკ-ს ინტერიერში (გულაში). ჩვენ მიერ თეორიულად გაანგარიშებულია მკ-ს გულას ტევადობის დამოკიდებულება გეომეტრიულ პარამეტრებზე (კედლის სისქესა და დიამეტრზე). წინამდებარე სამუშაო არის ექსპერიმენტული ხასიათის და ეძღვნება პოლიმერული მკ-ს ფორმირების პროცესის სისტემატურ კვლევას სხვადასხვა ცვლად პარამეტრზე დამოკიდებულებით.

ექსპერიმენტული ნაწილი

პოლიმერის შერჩევა

მკ მისაღებად შევარჩიეთ პოლიესტერამიდი სებაცილის მჟავას (8), ამინო მჟავა L-ლეიცინის (L) და 1,6-ჰექსანდიოლს (6) საფუძველზე, რომელსაც აღვნიშნავთ როგორც 8L6-ს (სქემა 1).



სქემა 1. კვლევაში გამოყენებული პოლიესტერამიდი 8L6.

აღნიშნული პოლიესტერამიდი შევარჩიეთ, ერთი მხრივ, მისი მაღალი ბიომეთავსებადობის [5], ხოლო მეორე მხრივ, გამოსავალი ნივთიერებების დაბალი ფასის და ხელმისაწვდომობის ნიშნით. პოლიმერი მივიღეთ სებაცილილქლოროლის პოლიკონდენსაციით ბის-(ლეიცინ)-1,6 ჰექსილენდიესტერის 3-ტოლუოლსულფონატთან ფაზათა გაყოფის ზედაპირზე [2].

მკ-ის მიღების ზოგადი მეთოდიკა

მკ-ის ფორმირებისათვის გამოვიყენეთ წყალი/ცხიმი/წყალი ორმაგი ემულსიის-გამხსნელის აორთქლების მეთოდი (water-in-oil-in-water (W/O/W) double emulsion-solvent evaporation method) [6]. მკ-ის მისაღებად ექსპერიმენტები ჩავატარეთ ოთახის ტემპურატურაზე.

მოცემული მეთოდის თანახმად, პირველადი W/O ემულსიის მისაღებად 0,4 მლ 1%-იანი (წონა/მოცულობა, წ/მ) ზედაპირულად აქტიური ნაერთის (ზან) წყალხსნარს ვამატებდით 4,0 მლ დიქლორმეთანს (DCM), რომელშიც გახსნილი იყო განსაზღვრული რაოდენობის (5 ან 13 % წ/მ) პოლიესტერამიდი 8L6, და ვურევდით მაღალბრუნვადი ჰომოგენიზატორის (High shear strength disperse homogenizing emulsification machine C25, Shanghai HC Mechanical Equipment Co., LTD, Shanghai, China) მეშვეობით 15 წმ განმავლობაში 10 000 ბრუნი/წთ-ზე (პირველადი ემულსიის დამზადებისას ჰომოგენიზაციის სიჩქარე უცვლადი იყო - 10 000 ბრუნი/წთ). მეორადი ემულსიის მისაღებად, პირველადი W/O ემულსია (რძისმაგვარი მასა) სწრაფად გადაგვექონდა 10,0 მლ ვარირებადი კონცენტრაციის ზან-ის შემცველ წყლის ფაზაში და კვლავ ვურევდით მაღალბრუნვადი ჰომოგენიზატორის მეშვეობით 3 წთ განმავლობაში მუდმივი (მაგრამ ექსპერიმენტიდან ექსპერიმენტში ვარირებადი) სიჩქარით მორევის პირობებში. ვიღებდით რძისმაგვარ მეორად W/O/W ემულსიას. ამ მეთოდიკას ვიყენებდით მცირე ზომის (<10 მკმ) მკ-ის ფორმირებისათვის.


დიდი ზომის (>10 მკმ) მკ-ის ფორმირებისათვის მეორად W/O/W ემულსიას ვიღებდით მაღალბრუნვადი ჰომოგენიზატორის გამოყენების გარეშე, პირველადი W/O ემულსიის წვეთწვეთობით (1-2 წვეთი/წმ) დამატებით 10,0 მლ ვარირებადი კონცენტრაციის ზან-ის შემცველ წყლის ფაზაში, მაგნიტური სარეველით მუდმივი (მაგრამ ექსპერიმენტიდან ექსპერიმენტში ვარირებადი) სიჩქარით მორევის პირობებში.

ამგვარად, მეორადი W/O/W ემულსიის დამზადების პირობების ვარირებით შესაძლებელია მკ-ის ზომების ვარირება სასურველ ზღვრებში. საბოლოოდ მკ-ის სუსპენზიას ვიღებდით მეორადი W/O/W ემულსიის (ნებისმიერის) მორევიტ მაგნიტურ სარეველაზე შერჩეული სიჩქარით (400 ბრ/წთ) 8 სთ განმავლობაში. ამ დროს ხდება ორგანული გამხსნელის (DCM) სრული აორთქლება და რჩება წყალში შეტივტივებული მიკროსფეროები (მიკროსუსპენზია), რომელსაც ვინახავდით მაცივარში.

ცვლადი პარამეტრების გავლენა მიკროემულსიების ფორმირებაზე განხილულია ქვემოთ.

მკ-ის მისაღებად გამოყენებული ზან-ები

კვლევაში გამოიყენეთ შემდეგი ზან-ები(ყველა Sigma-Aldrich-დან):(i) Kolliphor P188 (Poloxamer 188) – პოლიეთილენგლიკოლი-ბლოკ-პოლიპროპილენგლიკოლი-ბლოკ-პოლიეთილენგლიკოლი (PEG-PPG-PEG) ტრიბლოკ-თანაპოლიმერი მოლეკულური წონით (MW) 7680–9510 Da, (ii) Poloxamer 407– PEG-PPG-PEG ტრიბლოკ-თანაპოლიმერი მოლეკულური წონით (MW) 9840–14600 Da, (iii) პოლივინილის სპირტი, PVA, მოლეკულური წონით (MW) 31 000 Da და ჰიდროლიზის ხარისხით (ჰ.ხ.) 86,7%–88,7%, (iv) PVA მოლეკულური წონით (MW) 84 000 –89 000 Da და ჰ.ხ.-ით 86%–89%.



სქემა 2. კვლევაში გამოყენებული ზან-ები

მკ-ის ზომების, ზომების განაწილების და მორფოლოგიის შესწავლა

მიღებულ მკ-ებს ვახსიათებდით ნაწილაკების საშუალო დიამეტრით, დიამეტრის ქვედა ზღვართ, დიამეტრის ზედა ზღვართ და ნაწილაკების ზომების განაწილებით, ლაზერული მიკროსაიზერის (Laser particle sizer LS-C(III); Omec Instruments Co., LTD, Guangdong, China) გამოყენებით. ნაწილაკების ზომების განაწილებას ვადგენდით R კოეფიციენტის მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც განისაზღვრებოდა შემდეგი ფორმულით:

$$R = \frac{\text{დიამეტრისზედაზღვარი} - \text{დიამეტრისქვედაზღვარი}}{\text{საშუალოდიამეტრი}}$$

ითვლება, რომ როდესაც $R < 1,5$ ნაწილაკების ზომების განაწილება ვიწყოა, ხოლო როდესაც $R > 1,5$ ზომების განაწილება ფართოა. კვლევის შედეგებში (ცხრილები 1-8) ნაწილაკების საშუალო დიამეტრი, დიამეტრის ქვედა ზღვარი და დიამეტრის ზედა ზღვარი მოცემულია, როგორც ხუთი პარალელური გაზომვის საშუალო \pm სტანდარტული გადახრა (SD).

დიდი ზომის მკ-ის მორფოლოგიური კვლევა ჩატარებულია ოპტიკური მიკროსკოპის (Biological microscope XSG series) გამოყენებით. მკ-ის ზომების შესაფასებლად ნიმუშები (მიკროსუსპენზია) დაგეგმონდა გორიავის ბადეზე, გადიდება 200 x.

ორგანულ ფაზაში პოლიმერის კონცენტრაციის გავლენა მკ-ის ფორმირებაზე

მკ-ის ფორმირებაზე პოლიმერის კონცენტრაციის გავლენის შესასწავლად გამოიყენეთ ორგანულ ფაზაში პოლიმერის კონცენტრაციის ორი მნიშვნელობა – 5 და 13% (წ/მ). ამ კონცენტრაციების გამოყენებისას დამზადებულ სუსპენზიებში მკ-ის კონცენტრაცია შეადგენდა შესაბამისად 20 და 50 მკ/მლ. პოლიმერის კონცენტრაციის გავლენა შევისწავლეთ როგორც მცირე, ისე დიდი ზომის მკ-ის ფორმირებაზე. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები (უცვლადი და ცვლადი) წარმოდგენილია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები

პროცესის პარამეტრები	
უცვლადი	ცვლადი
ზან-ი პირველად წყლის ფაზაში Kolliphor P188	პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში 5 და 13 % (წ/მ)
ზან-ი მეორად წყლის ფაზაში PVA (MW84-89KDa)	
ზან-ის კონცენტრაცია პირველად წყლის ფაზაში - 1% (წ/მ)	
ზან-ის კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში-1% (წ/მ)	
პირველადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ	
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში - მყისიერი (მცირე ზომის მკ-ის მიღება)	
მეორადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ (მცირე ზომის მკ-ის მიღება)	
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში სიჩქარით 1-2 წვეთი/წმ (დიდი ზომის მკ-ის მიღება)	
მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარე 400 ბრუნი/წთ (დიდი ზომის მკ-ის მიღება)	

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 2 და 3-ში.

შედეგებიდან ჩანს, რომ ორგანულ ფაზაში პოლიმერის კონცენტრაციის გაზრდა 5-დან 13 %-მდე (წ/მ) იწვევს მკ-ის საშუალო დიამეტრის ზრდას 3,83-დან 5,30 μm -მდე მცირე ზომის მკ-ის შემთხვევაში (ცხრილი 1), და 66,28-დან 81,36 μm -მდე დიდი ზომის მკ-ის შემთხვევაში (ცხრილი 2). როგორც მცირე, ასევე დიდი ზომის მკ ხასიათდება ვიწრო განაწილებით ($R < 1,5$).

ცხრილი 2. ორგანულ ფაზაში პოლიმერის კონცენტრაციის გავლენა მცირე ზომის მკ-ის ფორმირებაზე

პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში (%წ/მ)	მკ-ის კონცენტრაცია დამზადებულ სუსპენციაში (მგ/მლ)	საშუალო დიამეტრი (μm) \pm SD	დიამეტრის ქვედა ზღვარი (μm) \pm SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μm) \pm SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება
5	20	3,83 0,014	1,57 0,004	5,18 0,030	0,94	ვიწრო
13	50	5,30 0,016	1,99 0,003	8,39 0,012	1,20	ვიწრო

ცხრილი 3. ორგანულ ფაზაში პოლიმერის კონცენტრაციის გავლენა დიდი ზომის მკ-ის ფორმირებაზე

პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში (% ∇ /მ)	მკ-ის კონცენტრაცია დამზადებულ სუსპენციაში (მგ/მლ)	საშუალო დიამეტრი (μ m) \pm SD	დიამეტრის კვდა ზღვარი (μ m) \pm SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μ m) \pm SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება
5	20	66,28 0,231	31,56 0,074	105,53 1,614	1,12	ვიწრო
13	50	81,36 0,135	36,85 0,273	127,71 2,242	1,10	ვიწრო

მეორად წყლის ფაზაში ზან-ის კონცენტრაციის გავლენა მკ-ის ფორმირებაზე
 მკ-ის ფორმირებაზე ზან-ის კონცენტრაციის (მეორეულ წყლის ფაზაში) გავლენის შესწავლის მიზნით შევარჩიეთ კონცენტრაციების ხუთი სხვადასხვა მნიშვნელობა – 0,1; 0,5; 1,0; 2,5 და 5,0 % (∇ /მ). ზან-ის კონცენტრაციის გავლენა შევისწავლეთ როგორც მცირე, ისე მკვიდილი ზომის მკ-ის ფორმირებაზე. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები (უცვლადი და ცვლადი) წარმოდგენილია ცხრ. 4-ში.

ცხრილი 4. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები

პროცესის პარამეტრები	
უცვლადი	ცვლადი
პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში 5 % (∇ /მ)	ზან-ის კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში 0,1; 0,5; 1,0; 2,5; 5,0 % (∇ /მ)
ზან-ი პირველად წყლის ფაზაში Kolliphor P188	
ზან-ი მეორად წყლის ფაზაში – PVA (MW84-89KDa)	
ზან-ის კონცენტრაცია პირველად წყლის ფაზაში - 1% (∇ /მ)	
პირველადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ	
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში - მყისიერი (მცირე ზომის მკ-ის მიღება)	
მეორადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ (მცირე ზომის მკ-ის მიღება)	
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში სიჩქარით 1-2 წვეთი/წმ (დიდი ზომის მკ-ის მიღება)	
მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარე 400 ბრუნი/წთ (დიდი ზომის მკ-ის მიღება)	

ცდების შედეგები წარმოდგენილია ცხრილების სახით (ცხრილი 5 და 6). მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ მცირე ზომის მკ-ის შემთხვევაში (ცხრილი 3) მეორეულ წყლის ფაზაში ზან-ის –პოლივინილის სპირტის (PVA) კონცენტრაციის გაზრდა 0,1-დან 5,0 %-მდე (∇ /მ) იწვევს მკ-ის საშუალო დიამეტრის შემცირებას 4,02-დან 1,74 μ m-მდე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ PVA-ს დაბალ

კონცენტრაციებზე (0,1 და 0,5 % წ/მ) ადგილი ჰქონდა მკ-ის ნაწილობრივ აგრეგაციას და თვალთ ხილული პოლიმერული აგრეგატების წარმოქმნას. PVA-ს 0,1 და 0,5 % წ/მ კონცენტრაციებზე მკ-ის ფარდობითი გამოსავალი შეადგენდა 69 და 86 %-ს შესაბამისად. PVA-ს დანარჩენ კონცენტრაციებზე (1,0; 2,5 და 5,0 % წ/მ) მკ-ის აგრეგაცია არ აღინიშნებოდა, და შესაბამისად, მკ-ის ფარდობითი გამოსავალიც 100 %-ს შეადგენდა. აქედან შესაძლოა დავასკვნათ, რომ მკ-ის მისაღებად PVA-ს ოპტიმალური კონცენტრაციებია 1,0; 2,5 და 5,0 % წ/მ. ამ ოპტიმალურ კონცენტრაციებზე მიღებულ იქნა დიდი ზომის მკ-იც. შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 4-ში. დიდი ზომის მკ-ის შემთხვევაში PVA-ს კონცენტრაციის გაზრდა 1,0-დან 5,0 %-მდე (წ/მ) იწვევს მკ-ის საშუალო დიამეტრის შემცირებას 67,63-დან 10,01 μm-მდე. აღსანიშნავია ასევე, რომ ამ შემთხვევაში PVA-ს კონცენტრაციის გაზრდა უფრო მნიშვნელოვნად ამცირებს (6,7 ჯერ) ნაწილაკების საშუალო ზომებს, ვიდრე მცირე ზომის მკ-ის შემთხვევაში (2,2 ჯერ).

რაც შეეხება ნაწილაკების ზომების განაწილებას, მცირე ზომის მკ-ის შემთხვევაში PVA-ს ოპტიმალურ კონცენტრაციებზე (1,0; 2,5 და 5,0 % წ/მ) განაწილება ვიწროა ($R < 1,5$), ხოლო დიდი ზომის მკ-ის შემთხვევაში PVA-ს მაღალ კონცენტრაციაზე (5,0 % წ/მ) აღინიშნება ნაწილაკების ზომების ფართო განაწილება ($R > 1,5$). მიღებული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზან-ის კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს როგორც მკ-ის ზომებს, ასევე მათ გამოსავალსაც.

ცხრილი 5. წყლის ფაზაში ზან-ის კონცენტრაციის გავლენა მცირე ზომის მკ-ის ფორმირებაზე

PVA-ს (Mw=84-89KDa) კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში (%წ/მ)	საშუალო დიამეტრი (μm)±SD	დიამეტრის ქვედა ზღვარი (μm)±SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μm)±SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება	*მკ-ის ფარდობითი გამოსავალი (%)
0,1	4,02 0,018	1,31 0,001	10,11 0,054	2,18	ფართო	69
0,5	3,90 0,009	1,41 0,001	5,46 0,048	1,03	ვიწრო	86
1,0	3,83 0,012	1,57 0,004	5,18 0,030	0,94	ვიწრო	100
2,5	3,47 0,023	1,53 0,002	4,99 0,007	0,99	ვიწრო	100
5,0	1,74 0,002	1,23 0,003	2,60 0,018	0,78	ვიწრო	100

$$\text{*მკ-ის ფარდობითი გამოსავალი (\%)} = \frac{\text{პოლიმერის საერთო მასა} - \text{აგრეგირებული პოლიმერის მასა}}{\text{პოლიმერის საერთო მასა}} \times 100 \%$$

ცხრილი 6. წყლის ფაზაში ზან-ის კონცენტრაციის გავლენა დიდი ზომის მკ-ის ფორმირებაზე

PVA-ს (Mw=84-89KDa) კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში (%წ/მ)	საშუალო დიამეტრი (μm)±SD	დიამეტრის ქვედა ზღვარი (μm)±SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μm)±SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება
1,0	67,63 0,149	34,94 0,368	101,44 1,365	0,98	ვიწრო
2,5	44,62 0,518	23,74 0,281	69,30 1,236	1,02	ვიწრო
5,0	10,01 0,456	4,87 0,092	66,49 6,375	6,15	ფართო

ზან-ის ბუნების გავლენა მკ-ის ფორმირებაზე

მკ-ის ფორმირებაზე სურფაქტანტების ბუნების გავლენის შესასწავლად შევარჩიეთ შემდეგი ზან-ები: Kolliphor P188, Poloxamer 407, PVA (31KDa) და PVA (84-89KDa). მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები (უცვლადი და ცვლადი) წარმოდგენილია ცხრ. 7-ში.

ცხრილი 7. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები

პროცესის პარამეტრები	
უცვლადი	ცვლადი
პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში 5 % (წ/მ)	ზან-ი პირველად წყლის ფაზაში Kolliphor P188, Poloxamer 407, PVA (MW 31KDa), PVA (MW 84-89KDa)
ზან-ის კონცენტრაცია პირველად წყლის ფაზაში-1 % (წ/მ)	ზან-ი მეორად წყლის ფაზაში Poloxamer 407, PVA (MW 31KDa), PVA (MW 84- 89KDa)
ზან-ის კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში-1 % (წ/მ)	
პირველადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ	
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში - მყისიერი (მცირე ზომის მკ-ის მიღება)	
მეორადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ (მცირე ზომის მკ-ის მიღება)	

ექსპერიმენტების შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 8-ში.

ცხრილი 8. ზან-ის ბუნების გაგენა პირველად და მეორად წყლის ფაზაში
მცირე ზომის მკ-ის ფორმირებაზე

ზან-ი პირველად წყლის ფაზაში	ზან-ი მეორად წყლის ფაზაში	საშუალო დიამეტრი (μm) \pm SD	დიამეტრის ქვედა ზღვარი (μm) \pm SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μm) \pm SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება
Kolliphor P188	PVA (MW 31KDa)	2,16 0,001	1,53 0,001	4,61 0,002	1,42	ვიწრო
Kolliphor P188	PVA (MW 84-89KDa)	3,83 0,014	1,57 0,004	5,18 0,030	0,94	ვიწრო
Poloxamer 407	PVA (MW 31KDa)	2,04 0,001	1,51 0,002	4,33 0,056	1,38	ვიწრო
PVA (MW 31KDa)	PVA (MW 31KDa)	2,19 0,002	1,55 0,001	4,46 0,004	1,33	ვიწრო
Poloxamer 407	PVA (MW 84-89KDa)	4,18 0,008	1,58 0,003	6,28 0,015	1,12	ვიწრო
PVA (MW 84-89KDa)	PVA (MW 84-89KDa)	4,60 0,007	1,68 0,002	7,02 0,012	1,16	ვიწრო
Kolliphor P188	Poloxamer 407	პოლიმერის სრული აგრეგაცია, მკ არ მიიღება	Kolliphor P188	Poloxamer 407	პოლიმერის სრული აგრეგაცია, მკ არ მიიღება	Kolliphor P188
Poloxamer 407	Poloxamer 407	პოლიმერის სრული აგრეგაცია, მკ არ მიიღება	Poloxamer 407	Poloxamer 407	პოლიმერის სრული აგრეგაცია, მკ არ მიიღება	Poloxamer 407

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ზან-ის ბუნება წყლის ფაზაში მნიშვნელოვნად მოქმედებს მცირე ზომის მკ-ის ფორმირებაზე. როგორც ცხრილ 5-ში ნაჩვენებია, სხვადასხვა ზან-ების თანაობისას მიღებული მცირე ზომის მკ-ის საშუალო დიამეტრი მერყეობს 2,04 – 4,60 μm ფარგლებში, ხოლო ნაწილაკების ზომების განაწილება ვიწროა ($R < 1,5$). პირველად წყლის ფაზაში ზან-ის ბუნება მნიშვნელოვნად არ მოქმედებს არც მკ-ის საშუალო დიამეტრზე და არც მკ-ის წარმოქმნის უნარიანობაზე. კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ზან-ის ბუნების გავლენა მნიშვნელოვანია მხოლოდ მეორად წყლის ფაზაში (სადაც წყლის ფაზის მოცულობა, და შესაბამისად, ზან-ის რაოდენობაც მეტია). ასე, როდესაც ზან-ის სახით მეორად წყლის ფაზაში გამოყენებული გვაქვს სხვადასხვა მოლეკულური მასის PVA, აღინიშნება მკ-ის საშუალო დიამეტრის ცვლილება (2,04 μm -დან 4,60 μm -მდე), ხოლო Poloxamer 407-ის გამოყენების შემთხვევაში კი აღვიღო აქვს პოლიმერის სრულ აგრეგაციას და, შესაბამისად, მკ არ წარმოიქმნება.

მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარის გავლენა მცირე ზომის მკ-ის ფორმირებაზე

მცირე ზომის მკ-ის ფორმირებაზე მეორადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარის გავლენის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ ჰომოგენიზაციის სიჩქარის სამი სხვადასხვა მნიშვნელობა – 10000, 18000 და 22000 ბრუნი/წთ. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები (უცვლადი და ცვლადი) წარმოდგენილია ცხრ. 9-ში.

ცხრილი 9. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები

პროცესის პარამეტრები	
უცვლადი	ცვლადი
პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში 5 % (წ/მ)	მეორადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000, 18 000, 22 000 ბრუნი/წთ
ზან-ი პირველად წყლის ფაზაში – Kolliphor P188	
ზან-ი მეორად წყლის ფაზაში – PVA (MW84-89KDa)	
ზან-ის კონცენტრაცია პირველად წყლის ფაზაში - 1% (წ/მ)	
ზან-ის კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში – 1% (წ/მ)	
პირველადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ	
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში - მყისიერი (მცირე ზომის მკ-ის მიღება)	

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 10-ში.

ექსპერიმენტების შედეგებიდან ჩანს, რომ მეორადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარის გაზრდა 10000-დან 22000 ბრუნი/წთ-მდე იწვევს მკ-ის საშუალო დიამეტრის შემცირებას 3,83-დან 1,97 μm -მდე. ჰომოგენიზაციის სიჩქარის სამივე მნიშვნელობაზე ნაწილაკების ზომების განაწილება ვიწროა ($R < 1,5$). პირველადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე ცდებში უცვლადი იყო, ვინაიდან ის განსაზღვრავს მხოლოდ წყლის წვეთების დისპერგირების ხარისხს პირველად W/O ემულსიაში და არ არის დაკავშირებული მკ-ის ზომებთან (ანუ არ განსაზღვრავს მეორად W/O/W ემულსიაში ორგანული ფაზის წვეთების ზომებს).

ცხრილი 10. ჰომოგენიზაციის სიჩქარის გავლენა მცირე ზომის მკ-ის ფორმირებაზე

პირველადი ემულსიის მორევის სიჩქარე, ბრუნი/წთ	მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარე, ბრუნი/წთ	საშუალო დიამეტრი (μm)±SD	დიამეტრის ქვედა ზღვარი (μm)±SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μm)±SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება
10 000	10 000	3,83 0,014	1,57 0,004	5,18 0,030	0,94	ვიწრო
10 000	18 000	2,17 0,004	1,50 0,003	4,54 0,003	1,40	ვიწრო
10 000	22 000	1,97 0,001	1,42 0,001	4,11 0,012	1,36	ვიწრო

მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარის გავლენა დიდი ზომის მკ-ის ფორმირებაზე

დიდი ზომის მკ-ის ფორმირებაზე მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარის გავლენა შევისწავლეთ მაგნიტური სარეველის მორევის სიჩქარის სამ სხვადასხვა მნიშვნელობაზე – 200, 400 და 700 ბრუნი/წთ-ზე. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები (უცვლადი და ცვლადი) წარმოდგენილია ცხრ. 11-ში.

ცხრილი 11. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები

პროცესის პარამეტრები	
უცვლადი	ცვლადი
პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში 5 % (წ/მ)	მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარე – 200, 400, 700 ბრუნი/წთ
ზან-ი პირველად წყლის ფაზაში Kolliphor P188	
ზან-ი მეორად წყლის ფაზაში PVA (MW84-89KDa)	
ზან-ის კონცენტრაცია პირველად წყლის ფაზაში - 1% (წ/მ)	
ზან-ის კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში – 1% (წ/მ)	
პირველადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ	
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში სიჩქარით 1-2 წვეთი/წმ	

ექსპერიმენტების შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 12-ში.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ დიდი ზომის მკ-ის ფორმირებისას მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარის (მაგნიტური სარეველის ბრუნთა რიცხვის ვარიანტით) გაზრდა 200-დან 700 ბრუნი/წთ-მდე იწვევს მკ-ის საშუალო დიამეტრის შემცირებას 75,05-დან 44,62 μm-მდე. დიდი ზომის მკ-ისათვის მეორადი W/O/W ემულსიის მორევის სიჩქარეს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰომოგენიზაციის სიჩქარეს მცირე ზომის მკ-ის შემთხვევაში. W/O/W ემულსიის მორევის სიჩქარე (ისევე როგორც ჰომოგენიზაციის სიჩქარე) განსაზღვრავს ემულსიაში დისპერსული ფაზის (ორგანული ფაზის წვეთები) ზომებს, რაც განაპირობებს თვით მკ-ის ზომებს (ორგანული გამხსნელის აორთქლების შემდეგ) მიღებულ სუსპენზიაში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მეორადი ემულსიის მორევის დაბალ სიჩქარეზე (200 ბრუნი/წთ) ადგილი ჰქონდა ნაწილაკების ნაწილობრივ აგრეგაციას. აქედან გამომდინარე, დიდი ზომის მკ-ის მიღებისას მიზანშეწონილი არ არის W/O/W ემულსიის მორევის დაბალი სიჩქარის გამოყენება.

ცხრილი 12. მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარის გავლენა დიდი ზომის მკ-ის ფორმირებაზე

მეორადი ემულსიის მორევის სიჩქარე, ბრუნი/წთ	საშუალო დიამეტრი (μm)±SD	დიამეტრის ქვედა ზღვარი (μm)±SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μm)±SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება
200	75,05 0,508•	37,06 0,376•	118,44 0,738•	1,08	ვიწრო
400	50,57 0,305	20,34 0,130	86,18 0,531	1,30	ვიწრო
700	44,62 0,518	23,74 0,281	69,30 1,236	1,02	ვიწრო

• - ნაწილობრივი აგრეგაცია

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების გავლენის შესწავლამ მკ-ის ფორმირებაზე გავიხვინა, რომ პარამეტრების ცვლილებით და, ასევე მიღების მეთოდის მცირეოდენი მოდიფიცირებით შესაძლოა მკ-ის ზომების კონტროლირებადი ვარირება ფართო ზღვრებში.

მკ-ის რესუსპენდირებადობა 48 სთ-იანი დაყოვნების/დალექვის შემდეგ

ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა მცირე ზომის მკ-ის რესუსპენდირების უნარი 48 სთ დაყოვნების/დალექვის შემდეგ. ამისათვის, დამზადებისთანავე განვსაზღვრეთ მკ-ის მახასიათებლები (ზომები და ნაწილაკების ზომების განაწილება) და შემდეგ სუსპენზია შევინახეთ დაბალ ტემპერატურაზე (მაცივარში). 48 სთ შემდეგ მკ-ის რესუსპენდირებას ვახდენდით ენერგიული შენჯღრევით 3-5 წთ განმავლობაში. რესუსპენდირების შემდეგ განმეორებით ვსაზღვრავდით მკ-ის მახასიათებლებს. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები წარმოდგენილია ცხრ. 13-ში.

ცხრილი 13. მკ-ის მიღების პროცესის პარამეტრები

პროცესის პარამეტრები
პოლიმერის კონცენტრაცია ორგანულ ფაზაში 5 % (წ/მ)
ზანი პირველად წყლის ფაზაში – Kolliphor P188
ზანი მეორად წყლის ფაზაში – PVA (MW84-89KDa)
ზანი-ის კონცენტრაცია პირველად წყლის ფაზაში - 1% (წ/მ)
ზანი-ის კონცენტრაცია მეორად წყლის ფაზაში – 1% (წ/მ)
პირველადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ
მეორადი ემულსიის ჰომოგენიზაციის სიჩქარე 10 000 ბრუნი/წთ
პირველადი ემულსიის დამატება მეორად წყლის ფაზაში - მყისიერი (მცირე ზომის მკ-ის მიღება)

ექსპერიმენტების შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 14-ში.


მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ მკ-ის მახასიათებლები დამზადებისთანავე და დალექვის/შემდგომი რესუსპენდირების შემდეგ პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც მეტყველებს მიღებული მკ-ის მდგრადობაზე. გაზომვების შედეგებს შორის განსხვავება ცდომილების ფარგლებშია.

ცხრილი 14. მცირე ზომის მკ-ის რესუსპენდირებადობა 48 სთ დაყოვნების/დალექვის შემდეგ

გაზომვა	საშუალო დიამეტრი (μm)±SD	დიამეტრის ქვედა ზღვარი (μm)±SD	დიამეტრის ზედა ზღვარი (μm)±SD	R	ნაწილაკების ზომების განაწილება
დამზადებისთანავე	3,70 0,007	1,63 0,003	4,76 0,005	0,84	ვიწრო
რესუსპენდირების (შენჯღრევის) შემდეგ	3,77 0,069	1,67 0,025	5,06 0,883	0,89	ვიწრო

მკ-ის მორფოლოგიური კვლევა

კვლევის ფარგლებში ჩატარებულია დიდი ზომის მკ-ის მორფოლოგიური კვლევა ოპტიკური მიკროსკოპის გამოყენებით 200x გადიდებაზე (სურათი).



დიდი ზომის მკ-ის მიკროფოტოგრაფიები (გადიდება 200 x).

A, B - გორიავის ბადეზე; C, D - სასაგნე მინაზე; მკ-ის საშუალო დიამეტრი (მიკროსაიზერით დადგენილი – 66 µm.

როგორც მიკროფოტოგრაფიებიდან ჩანს, მიღებული დიდი ზომის მკ სფერული ფორმისაა. საიზერის მონაცემების თანახმად მორფოლოგიური კვლევებისთვის გამოყენებული მკ-ის საშუალო დიამეტრი შეადგენდა 66,28 µm, დიამეტრის ქვედა ზღვარი 31,56 µm, ხოლო დიამეტრის ზედა ზღვარი 105,53 µm. ხელსაწყო მონაცემები კარგ თანხვედრაშია გორიავის ბადეზე (სურათი) ოპტიკური მიკროსკოპის საშუალებით დადგენილ მიახლოებით ზომებთან: მკ-ის უმრავლესობისთვის დიამეტრი მერყეობს 50-60 µm-ის ფარგლებში, მკ-ის ნაწილისთვის დიამეტრი მერყეობს 20-30 µm-ის ფარგლებში, დანარჩენი ნაწილისთვის კი – 80-100 µm-ის ფარგლებში.

ლიტერატურა

1. M.N. Singh, K.S.Y. Hemant, M. Ram, H.G. Shivakumar. Microencapsulation: A promising technique for controlled drug delivery.//Res. Pharm. Sci., 2010, 5. pp. 65-77.
2. R. Katsarava, Z. Gomurashvili. Biodegradable Polymers Composed of Naturally Occurring α -Amino Acids. In: Handbook of Biodegradable Polymers - Isolation, Synthesis, Characterization and Applications, Lendlein, A. and Sisson, A., Eds. - Wiley-VCH, Verlag GmbH & Co. KGaA.Ch., 2011, 5, pp.107-131.
3. R.Katsarava, N.Kulikova, J.Puiggali. Amino-Acid-Based Biodegradable Polymers – Promising Materials for the Applications in Regenerative Medicine.//J. J. Regen. Med.,2016, 1, 012.

4. A.Díaz, R.Katsarava, J.Puiggalí. Synthesis, properties and applications of biodegradable polymers derived from diols and dicarboxylic acids: From polyesters to poly(ester amide)s (Review). // Int. J. Mol. Sci.,2014, 15, pp. 7064-7123.
5. T.Kantaria, T..Kantaria, S.Kobauri, M.Ksovreli, T.Kachlishvili, N.Kulikova, D.Tugushi, R. Katsarava. Biodegradable nanoparticles made of amino acid-based ester polymers: Preparation, characterization, and in vitro biocompatibility study.//Appl.Sci.,2016, 6, 444, doi:10.3390/app6120444.
6. U. Puapermpoonsiri, J. Spencer, C. F. Van der Walle. A freeze-dried formulation of bacteriophage encapsulated in biodegradable microspheres. //Eur. J. Pharm. Biopharm., 2009, 72, pp. 26-33.

SUMMARY

SYSTEMATIC STUDY ON THE FABRICATION OF DRUG DELIVERY MICROCAPSULES MADE OF AMINO-ACID-BASED BIODEGRADABLE POLYESTER AMIDE

Sinauridze N.O., Kantaria Tem.J., Kantaria Ten.J., Badzgaradze S.A., Kutsiava N.A., Tugushi D.S. and Katsarava R.D.

**Agricultural University of Georgia
Georgian Technical University**

The article deals with a systematic study on the fabrication of micr for numerous drug delivery applications. The microcapsules were made of biodegradable poly(ester amide) constituted of amino acid leucine, 1,6-hexanediol and sebacic acid using a water-in-oil-in-water (w/o/w) double emulsion–solvent evaporation method. The influence of various parameters such as the concentration of the polymer in the organic phase (dichloromethane), the concentration of the surfactant in the water phase, the nature of the surfactant in the water phase, and the homogenization rate of the secondary emulsion were studied in terms of the size and size distribution of the microspheres.

Keywords: drug-delivering microspheres, biodegradable poly(ester amide), fabrication of microspheres, w/o/w method.

АНТИБАКТЕРИАЛЬНАЯ АКТИВНОСТЬ СОПОЧНЫХ И ИЛОВЫХ ПЕЛОИДОВ ГРУЗИИ

Девдариани Н.Г., Джинчарадзе Д.Г., Закалашвили Т.Т, Бокучава Н.В.

Грузинский технический университет

Пелоиды (лечебные грязи) занимают достойное место в традиционной медицине в течение многих столетий. В последние годы возобновился интерес к поиску и исследованию различных видов грязей с целью их терапевтического использования в качестве эффективного антибактериального и лечебного средства.

В лечебной практике используются обогащенные органическими веществами сопочные и иловые грязи. Эффективность лечения различных заболеваний в значительной степени зависит от антибактериальных свойств веществ, продуцируемых бактериями, плесневыми грибами и актиномицетамиантагонистами в грязевой субстрат. Кроме того, антибактериальная активность лечебных грязей обуславливает их „самозащиту“, от различных патогенных и условно-патогенных микробов, постоянно попадающих в грязь.

Известно, что лечебное действие грязей в большей мере обусловлено содержащимися в них органическими веществами, среди которых следует отметить гуминовые кислоты, обладающие антисептическим действием [1].

Целью работы является извлечение неэкстрагируемых хлороформом фракций органических веществ, в первую очередь, гуминовых и фульвокислот, для этого использовали их щелочную экстракцию из грязи после проведения экстракции органическими растворителями. Оптимальные условия их извлечения подобранные нами, представлены в табл. 1.

Таблица 1. Параметры экстракций пелоидов

Навеска грязи, г	Используемый экстрагент	Число экстракций	Объем добавленного раствора NaOH, мл	Время каждой экстракции, мин
1	NaOH 0,3N	3	10	30

Изучение содержания и качественного состава гуминовых веществ в исследуемых сопочных и иловой грязи показало, что содержание их колеблется (по углероду) от 35 до 60% (мас), от общей суммы в грязях органического вещества. Причем для иловой грязи характерна более высокая концентрация – на долю гуминовых веществ приходится до 60 % (мас) от общей суммы органических веществ (табл. 2).

Таблица 2. Содержание гуминовых и фульвокислот в сопочных и иловой грязи

Исследуемая проба	Содержание Собщ. мг/г	Содержание углерода гуминовых веществ от общего органического вещества, % (мас)	Сгк./Сфк
Сопочная грязь Тахти-тепа	6,3	35,0	0,5
Сопочная грязь Кила- Купра	28,0	44,0	1,16
Иловая грязь Кумиси	13,0	60,0	1,09

Полученные данные довольно хорошо согласуются с результатами исследования гуминовых веществ лечебных грязей Киргизии [3], в которых их доля составляет 23 ...59 % (мас) от общего количества органического вещества.

Обращают на себя внимание необычные соотношения гуминовых и фульвокислот СГК/Сфк, которые для поверхностных вод в большинстве случаев равны 1 : 10 [4]. В исследуемых грязях концентрации гуминовых и фульвокислот одного порядка, и их

соотношения колеблются в основном от 0,5 до 1,1. В то же время эти соотношения гораздо ниже найденных величин для иловых и торфяных грязей Киргизии (1,07-1,75).

Были проведены исследования антибактериальных свойств лечебных грязей Грузии как по отношению к грамположительным, так и по отношению к грамотрицательным видам микроорганизмов. Для определения антибактериальной активности были взяты следующие тест-культуры: бактерия сине-зеленого гноя, кишечная и дизентерийная палочки, белый и золотистый стафилококки [5].

В результате установлено, что антибактериальные свойства по отношению к бактерии сине-зеленого гноя (табл. 3) больше проявляются в иловой грязи.

Таблица 3. Антибактериальная активность лечебных грязей

Наименов. грязи	Глубина от бора проб, м	Бактерия сине-зеленого гноя, МКБ/г	Кишечная палочка МКБ/г	Дизентерийная палочка, МКБ/г	Стафилококк белый, МКБ/г	Стафилококк золотистый МКБ/г
Сопочные грязи	0,2 – 1,0	0 – 1	0,5 – 1,0	0	0 – 0,5	0
Иловая грязь	0,5 – 2,0	1 – 4	1,0 – 3,0	0,5 – 2,0	0 – 1,0	0 – 0,1

В сопочных грязях антибактериальные свойства к дизентерийной палочке не проявляются.

Таким образом, сопочные грязи обладают большой антибактериальной активностью по отношению к грамотрицательным (бактерия – *Bakt.Pyocyaneum* - сине-зеленого гноя, кишечная палочка – *Escherichia coli* и дизентерийная палочка *Schigella dysenteriae*) видам микроорганизмов и в меньшей – к грамположительным (белый – *Staphylococcus enidermidis* и золотистый стафилококки - *Staphylococcus aureus*).

При изучении антибактериальной активности по отношению к белому стафи-лококку установлено, что она больше выражена (5...10 мм) в иловой грязи и меньше в сопочных грязях (1...5 мм).

Антибактериальные свойства изученных грязей по отношению к стафилококку золотистому значительно ниже, чем стафилококку белому, Стерильную зону (1...5 мм) на фоне стафилококка золотистого образует только иловая грязь. Совсем не проявляют биологической активности к этому тест-микробу сопочные грязи. В отличие от сопочных иловая грязь проявляет антибактериальную активность в большей степени к грамположительным видам микроорганизмов. Это дает основание считать её сходной с черноморскими лиманами (Саки), Киргизскими илами и др. [3]. Что касается сопочных грязей, то их антибактериальные свойства проявляются как к тем, так и другим видам бактерий незначительно.

В составе иловой грязи преобладают биологически активные гуминовые и фульвокислоты, на долю которых приходится 35...60% (мас) от общей суммы органических веществ. В сопочных грязях их содержание ниже (35...44 % (мас). Соотношение между концентрациями гуминовых и фульвокислот (С гк./Сфк) существенно отличается от наблюдаемых для поверхностных вод и составляет 0,5...1,2.

Показано, что сопочные и иловые грязи Грузии обладают антибактериальными свойствами по отношению к патогенным и условно патогенным бактериям, причем в большей мере грамотрицательным видам бактерии. Иловая грязь биологически активна к грамположительным бактериям.

ЛИТЕРАТУРА

1. Черепанова М.Н. Физико-химическая характеристика гуминовых веществ торфяных грязей. //В кн. Грязи и их лечебное применение. -Киев. Здоровье, 1969, сс. 27-29
2. Черепанова М.Н. Физико-химическая характеристика лечебной грязи-озера Аджиголь. Вопросы эксп. и клин. курортологии и физиотерапии. - М. 1975, т. 29, сс. 81-83.
3. Лечебные грязи Киргизской ССР. -Фрунзе. Мед. изд-во, Вып. 10, 1973, сс.50-58

4. Руководство по химическому анализу поверхностных вод суши. -Л: Гидро-метеоизд, 1977, сс. 15-213
5. Микая М.П. Бактериологическая диагностика стафилококковой инфекции. //Мат. науч. конф. дерматовенерологов. -Тбилиси, Медицина, 2003, сс. 8-12
6. Н.Бокучава Н.В. Лечебные грязи Грузии. -Тбилиси, Изд.: Технический университет, 2009, 150с.

SUMMARY

ANTIBACTERIAL ACTIVITY OF VOLCANIC AND SLIT PELOIDS OF GEORGIA

Devdariani N.G., Jincharadze D.G., Zakalashvili T.T. and Bokuchava N.V.

Georgian Technical University

The experimental study of the antibacterial properties of volcanic and silt peloids of Georgia was performed. The study revealed that, in volcanic mud, antibacterial properties are insignificant, while slit mud provides congenial conditions for the growth of gram-positive bacteria.

Keywords: peloids, antibacterial activity, humic acids, fulvic acids.

ემოლოგიურად სუფთა ხილ-კენკრიდან პოლიფენოლების კონცენტრირების
ინოვაციური ტექნოლოგიით დამზადებული ხილ-კენკრის წვენებში

ებელაშვილი ნ.გ.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი

შესავალი

ხილ-კენკროვნები შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფართო სპექტრს, რომელთაგან მრავალმხრივი სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებებით გამოირჩევიან ფენოლური ნივთიერებები: კატეხინები, ფლავანოლები, ფენოლკარბონმჟავები, ანტოციანები.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ეს ნივთიერებები ხასიათდებიან მაღალი ანტიოქსიდანტური ეფექტით, მკვეთრად ამცირებენ გულ-სისხლძარღვთა დაავადების, შაქრიანი დიაბეტი 2-ის, სიმსივნური პროცესებისა და სხვა მრავალრიცხოვან დაავადებათა განვითარების რისკს [1-5]. ამიტომ წვენების კვებითი ღირებულების შეფასებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათში ფენოლური ანტიოქსიდანტების რაოდენობას. ფენოლური ნივთიერებების მაღალი კონცენტრაცია ზრდის წვენების ანტიოქსიდანტურ ეფექტს. დღეისათვის, საერთაშორისო ბაზარზე ფენოლური ნივთიერებებით მდიდარი, მაღალი ანტიოქსიდანტური აქტიურობის მქონე პროდუქტებზე მეტად დიდია მოთხოვნა, მაღალია მათი ფასი და რეალიზაციის რაოდენობაც. ამ ნივთიერებების რაოდენობა კი დამოკიდებულია ნედლეულზე და წვენის დამზადების პროცესში გამოყენებულ ტექნოლოგიურ ხერხებზე.

ჩვენ მიერ შემუშავებულია პოლიფენოლებით კონცენტრირებული, მაღალი ანტიოქსიდანტური აქტიურობის შავი თუთისა და მაცვლის წვენების დამზადების ინოვაციური ტექნოლოგია.

კვლევის ობიექტები და მეთოდები

კვლევის ობიექტების – საცდელი და საკონტროლო წვენების ნიმუშების დასამზადებლად გამოყენებული იყო ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული: შავი თუთა (საგარეჯო), ტყის მაცვალი (კასპი). საკონტროლო ნიმუშები დამზადდა სტანდარტული ტექნოლოგიით [6], საცდელი – ჩვენ მიერ შემუშავებული პოლიფენოლების კონცენტრირების ინოვაციური ტექნოლოგიით [7].

საცდელ და საკონტროლო ნიმუშებში გამოკვლეულია: კატეხინებისა და ფენოლკარბონმჟავების რაოდენობა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით აპარატზე Pro star” (ფირმა „Varian”). კომპონენტების დაყოფა განხორციელდა 280 ნმ ტალღის სიგრძეზე; გამოყენებული იყო ქრომატოგრაფიის სვეტი Microsorb 100-S C18 [8]. ანტიოქსიდანტური აქტიურობა შესწავლილი იყო სტაბილური რადიკალის (DPPH) გამოყენებით. სტანდარტულ ანტიოქსიდანტად გამოყენებული იყო E ვიტამინის წყალში ხსნადი ფორმა – ტროლოქსი [9].

ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული და რაოდენობრივად განსაზღვრულია (+) - კატეხინი, (-) - ეპიკატეხინი, გალის, ხლოროგენის, ვანილის, პ-კუმარის, სინაპისა და დარიჩინის მჟავები. ცხრილში წარმოდგენილია კვლევის ობიექტებში ფენოლური კომპონენტების რაოდენობა და ანტიოქსიდანტური აქტიურობა.

მიღებული ექსპერიმენტული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იდენტიფიცირებული ფენოლური ანტიოქსიდანტების შემცველობა მაცვლის წვენში მაღალია (142,2 მგ/ლ), შავი თუთის წვენთან შედარებით (75,114 მგ/ლ). შავი თუთისა და

მაყვლის წვენებში ფენოლკარბონმჟავებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილია ხლოროგენის მჟავა; ამავდროულად, შავი თუთის წვენი, ხასიათდება ხლოროგენის მჟავის, ხოლო მაყვლის წვენი – პ. კუმარის მჟავის მაღალი შემცველობით, (შესაბამისად: 37,381 საპირისპიროდ 26,64 მგ/ლ; 19,864 საპირისპიროდ 1,713 მგ/ლ).

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ზემოთ აღნიშნული ნედლეულის წვენების საცდელ ნიმუშებში ფენოლური კომპონენტების ჯამური რაოდენობა (შესაბამისად 210,852 და 372,714 მგ/ლ) გაცილებით მაღალია საკონტროლო ნიმუშებთან (შესაბამისად: 75,114 და 142,2 მგ/ლ) შედარებით. შავი თუთისა და მაყვლის წვენების საცდელ ნიმუშებში, საკონტროლოსთან შედარებით მატულობს: კატეხინების ჯამი – 2,1 - 3,3ჯერ (შესაბამისად: 63,381 საპირისპიროდ 28,837 მგ/ლ; 184,324 საპირისპიროდ 85,796 მგ/ლ); ფენოლკარბონმჟავების ჯამი – 3,1 - 3,3ჯერ (შესაბამისად: 147,471 საპირისპიროდ 46,277მგ/ლ; 188,39 საპირისპიროდ 56,404 მგ/ლ). კატეხინების ჯამური რაოდენობა მატულობს ორივე კატეხინის მატების ხარჯზე, ფენოლკარბონმჟავების ჯამური რაოდენობა – ძირითადად კლევის ობიექტებში ფენოლური კომპონენტების რაოდენობა მგ/ლ და ანტიოქსიდანტური აქტიურობა (DPPH), ინგიბირების % გალის, ხლოროგენის, ვანილისა და პ-კუმარის მჟავების მატების ხარჯზე (ცხრილი).

ფენოლური კომპონენტები, ანტიოქსიდანტ. აქტიურობა, ინგიბირების %	შავი თუთის წვენი		მაყვლის წვენი	
	საკონტროლო	საცდელი	საკონტროლო	საცდელი
გალის მჟავა	4, 356	9,606	5,604	7,549
(+)-კატეხინი	4, 271	17, 276	31, 388	94,817
ხლოროგენის მჟავა	37, 381	129,163	26,64	33,728
ვანილის მჟავა	1,021	3, 948	1,136	3,005
(-)-ეპიკატეხინი	24,566	46,105	54,408	89,507
პ-კუმარის მჟავა	1,713	1,978	19,864	133,198
სინაპის მჟავა	0,567	1,122	1,536	8,977
დარიჩინის მჟავა	1,239	1,654	1,624	1,933
ფენოლკარბონმჟავების ჯამი	46,277	147,471	56,404	188,39
კატეხინების ჯამი	28,837	63,381	85,796	184,324
ფენოლური ანტიოქსიდანტების ჯამი	75,114	210,852	142,2	372,714
ანტიოქსიდანტური აქტიურობა, ინგიბირების %	26	45	40	70

აღსანიშნავია, რომ თუთის წვენის საცდელ ნიმუშში, ხლოროგენის მჟავის რაოდენობა 3-ჯერ იზრდება, საკონტროლოსთან შედარებით; პ-კუმარის მჟავის რაოდენობა მაყვლის წვენის საცდელ ნიმუშში, საკონტროლოსთან შედარებით 6-ჯერ მაღალია. ორივე ეს მჟავა, ისევე როგორც კატეხინები, ძლიერი ანტიოქსიდანტია [10]. სამეცნიერო ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ხლოროგენის მჟავა ანტიოქსიდანტურ თვისებებთან ერთად მნიშვნელოვნად აფერხებს დიაბეტი 2-ის განვითარების რისკს [11, 12].

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა კორელაციური დამოკიდებულება ნიმუშების ანტიოქსიდანტურ აქტიურობასა და ფენოლკარბონმჟავებისა და კატეხინების ჯამურ რაოდენობას შორის. ანტიოქსიდანტური აქტიურობა საცდელ ნიმუშებში, საკონტროლოსთან შედარებით მაღალია 73-75%-ით.

კატეხინებისა და ფენოლკარბონმჟავების ზემოთ დაფიქსირებული მატება წველების საცდელ ნიმუშებში განპირობებულია მათი დამზადების პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიური ხერხით, რომელიც იწვევს დამჟანგველი ფერმენტების ინაქტივაციას, რის შედეგადაც ნედლეულში ხდება (წვენის გამოწნეხვამდე) ფენოლური ანტიოქსიდანტების დაუჟანგავი ფორმით შენარჩუნება და შემდეგ მათი მაქსიმალური რაოდენობით ექსტრაქცია წვენში. ამასთან ერთად, ფენოლკარბონმჟავები ხილ-კენკრაში არის როგორც თავისუფალი, ისე აცილირებული ფორმით. ჩვენ მიერ შემუშავებული ტექნოლოგია იწვევს ფენოლკარბონმჟავების აცილირებული ფორმების ჰიდროლიზს. აღნიშნული პროცესის შედეგადაც მატულობს საცდელ ნიმუშებში ფენოლკარბონმჟავების რაოდენობა.

დასკვნა

ინოვაციური ტექნოლოგიით დამზადებულ შავი თუთისა და მაცვლის წვენების ნიმუშებში, სტანდარტული ტექნოლოგიით დამზადებულ ნიმუშებთან შედარებით, გაცილებით მაღალია: ფენოლკარბონმჟავებისა და კატეხინების კონცენტრაცია. მათში ფენოლკარბონმჟავების რაოდენობა მატულობს ძირითადად ხლოროგენის, გალის, პ-კუმარის, და ვანილის მჟავების რაოდენობის მატების ხარჯზე; კატეხინების – ორივე კატეხინის რაოდენობის ზრდის ხარჯზე. ინოვაციური ტექნოლოგიით დამზადებულ წვენებს, ფენოლური ნივთიერებების მაღალი კონცენტრაციის საფუძველზე აქვთ მაღალი ანტიოქსიდანტური აქტიურობა და კვებითი ღირებულება, შესაბამისად, მრავალრიცხოვან დაავადებათა პრევენციის მეტი ეფექტი.

ინოვაციურ ტექნოლოგიაზე მიღებული გვაქვს პატენტი 5236.

ლიტერატურა

1. M. Nardini, D'Aquino M, G. Tomassi, V. Gentili, D.M. Felice, C. Scaccini. Inhibition of human low density lipoprotein oxidation by caffeic acid and other hydroxycinnamic acid derivatives. //J. Free Radic.Biol. Med. 1995, 19, pp. 541-552.
2. C.A. Rice-Evans, N.J. Miller, G. Paganga. Structure-antioxidant activity relationships of flavonoids and phenolic acids. //J. Free Radic. Biol. Med. 1996, 20, pp. 933-956.
3. T. Walle. Absorption and metabolism of flavonoids. //Free Radic. Biol., Med. 2004, 36, pp. 829-837.
4. M. Kampa, VI. Alexaki, G. Notas, AP. Nifli, A. Nistikaki, A. Hatzoglou, E. Bakogeorgou, E.Kouimtzoglou, G. Blekas, D. Boskou, A. Gravanis, E. Castanas. Antiproliferative and apoptotic effects of selective phenolic acids on T47D human breast cancer cells: potential mechanisms of action. // J. Breast Canc. Res. 2004, 6, pp. 63-74.
5. N.J. Kang, K.W. Lee, B.J. Shin , S.K. Jung , M.K. Hwang , A.M. Bode, Y.S. Heo, H.L. Lee, Z. Dong. Caffeic acid, a phenolic phytochemical in coffee, directly inhibits Fyn kinase activity and UVB induced COX-2 expression. //J. Carcinogen. 2009, 30, pp.321-330.
6. Самсонова А.Н., Ушева В.Б. Фруктовые и овощные соки. -Москва, Пищевая промышленность, 1990, 230 с.
